საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 28 აგვისტო. 2020 წ. №107 (9033) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ემაგ პირით პურს როგორ ჭამთ?!

შლეგთა „ნაგლობა“ და ③ „ანგლობა“

ნაცების საარჩევნო პროგრამა

არის თუ არა საჭირო აფხაზეთთან და ოსეთთან დიალოგი? ④

რა განწყობაზე არიან ჩვენი ემიგრანტები?..

ვის სასარგებლოდ მიიტანენ არჩევანს ისინი

⑥

ჩვენ სიკეთეზეც არ ფუფაღლობენ! ⑤

ბელარუსის მხარდამჭერი აქცია

გუშინ, საქართველოში ბელარუსის საელჩოსთან „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის გულბაათ რცხილაძის და „ერთიანი კომუნისტური პარტიის“ თავმჯდომარის ზურაბ ფიფიას მიერ ორგანიზებული აქცია გაიმართა.

აქციის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს ბელარუსის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს და ბელარუს ხალხს სამოქალაქო დაპირისპირების შეწყვეტისკენ მოუწოდეს.

აქციის სპიკერმა, ბატონმა გულბაათ რცხილაძემ საქართველოს ხელისუფლებას ბელარუსში ჩატარებული არჩევნების შედეგების ცნობისკენ მოუწოდა. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს ბელარუსთან მეგობრობა.

აქციის ორგანიზატორებმა ბელარუსის ელჩს მხარდამჭერი წერილი გადასცეს და აღნიშნეს, რომ ისინი უახლოეს დღეებში პირადად შეხვდებიან ბელარუსის ელჩს საქართველოში.

ქეთი ხომერიკი

გილოცავთ მარიამობას!

დედოფალო, შეგვეწიე ქართველებს!

მიძინება ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღუთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. 28 აგვისტოს მთელი ქრისტიანული სამყარო და საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მარიამობას დღესასწაულობს.

...ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ამქვეყნიური მიწიერი ცხოვრება ღვთის მადლით იყო გაბრწყინებული. მოციქულთა მსგავსად დედა ღვთისმშობელი სიტყვითა და ლოცვით განამტკიცებდა ქრისტიანულ ეკლესიას. ქრისტიანები მარიამ ღვთისმშობელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ამიტომ მის ყოველ სიტყვას, საქმეს იმახსოვრებდნენ... საგულისხმოა ისიც, რომ ქალწულ მარიამის ხასიათისა და გარეგნობის აღწერაც კი შემოგვინახეს.

გადმოცემით დედა ღვთისამ, როცა შეხედა თავის გამოსახულებას, თქვა: „მადლი და წყალობა ძისა ჩემისა ახლავს ამ ხატს“. აღსანიშნავია ისიც, რომ მარიამ ღვთისმშობლის სახელი ყველგან იყო გავრცელებული, ბევრს შურდა კიდევაც მისი, მაგრამ ღმერთი იფარავდა მას. იესო ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ — მე-17 წელს, 28 აგვისტოს მიიძინა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც იგი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა.

ყოვლადწმიდა სამების შემდეგ იდიდება ღვთისმშობელი მარიამი ქრისტიანულ სამყაროში, რადგანაც ის ქერუბიმებზე უპატიოსნესი და სერაფიმებზე აღმატებულია.

P. S. ჩვენი დედაეკლესიაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებს ყოვლადწმიდა ქალწულს. მიძინების შემდეგ ის მეოხია ყველასი, ვინც მას მიმართავს: „დედოფალო, გვაცხოვნე ჩვენ!“ მხოლოდ საქართველოში კი ვამბობთ: დედოფალო, შეგვეწიე ქართველებს!“

ვაფასებთ!



კვლავ მხნედ!..

ბატონ ლევან სვანაძეს!

ჩინებულ მეცნიერსა და მწერალს, ჭეშმარიტ საზოგადო მოღვაწეს გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს.

თქვენს ნაყოფიერ სამეცნიერო და სამწერლო მოღვაწეობას დიდი ხანია დამსახურებული აქვს ქართველი საზოგადოების მოწონება და აღიარება, რაც არა მარტო საამაყოა, არამედ გავალდებულებთ კვლავაც გაგრძელოთ დაუღალავი და შედეგიანი შემოქმედებითი საქმიანობა, ფუნდამენტური და ღრმაშინაარსიანი ნაშრომებით გაამდიდროთ ჩვენი ისტორიული, ეთნოგრაფიული, პოლიტოლოგიური მეცნიერებების მიღწევები.

გისურვებთ წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში, დღეგრძელობას, ჯანის სიმრთელეს და კიდევ ბევრ სიხარულს. ბედნიერება არ მოჰკლებოდეს თქვენს მონაგარს.

თბილისელი მეგობრების სახელით:

ოთარ კვესიტაძე, როინ მეტრეველი, ანზორ ბურჯანაძე, გრიგოლ ონიანი, რამაზ ხეცურიანი, ნუგზარ ფოფხაძე.

ოპოზიცია იმიტომ ყეფს, მთავრობა კარგად რომ მუშაობს!

მოგეხსენებათ, რამდენიმე ხნის წინ გამოვაცხადეთ 18 წლამდე ასაკის ბავშვების სოციალური მხარდაჭერის პაკეტი, რომელიც მოიცავს 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 200-ლარიან დახმარებას, თუმცა, აქ იყო გარკვეული შესაძლო ტექნიკური პრობლემები, რომელიც მოვაგვარეთ; გვქონდა შეხვედრა საბანკო სექტორთან და მათთან საუბრის შემდეგ მივიღეთ ერთობლივი გადაწყვეტილება, რომ ეს სოციალური დანარიცხი, რომელსაც მიიღებენ ჩვენი მოქალაქეები, ოჯახები, არც ერთ შემთხვევაში არ იქნება საბანკო ვალდებულების აღსასრულებლად მიმართული, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომელთაც აქვთ საბანკო სესხი, ეს თანხა ვერ იქნება და არ იქნება გამოყოფილი სესხის დასაფარად და ავტომატურად ბანკი ამ თანხას ვერ ჩამოაჭრის, ისევე როგორც კანონმდებლობის შესაბამისად არც ერთი სხვა აღსრულების მექანიზმი და ღონისძიებები ამ სოციალურ დახმარებას არ შეეხება, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, დღეის მონაცემებით განაცხადი უკვე შემოსულია 810 000 ბავშვზე, რაც გულისხმობს 482 000 ოჯახს.

„მოგეხსენებათ, რომ 15 სექტემბრიდან ჩვენ, ერთობლივი გადაწყვეტილებით და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობით, საკლასო ოთახებში სწავლის განახლების შესაძლებლობა გვაქვს, რაც მნიშვნელოვანია როგორც ბავშვებისთვის, ისე ჩვენი ოჯახებისთვის. ამასთან ერთად, ეს პროგრამა გაგრძელდება 1-ელ დეკემბრამდე და ამ თანხების დარიცხვა ბავშვებისთვის დაიწყება 1-ლი სექტემბრიდან და შესაბამისად გაგრძელდება წლის ბოლომდე. ახალი განაცხადების შემოსვლის შემთხვევაში უკვე 1 დეკემბრამდე.

მნიშვნელოვანია, რომ დღეის მონაცემებით განაცხადი შემოსულია უკვე 810 000 ბავშვზე, რაც გულისხმობს 482 000 ოჯახს, რაც ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სწორი და ეფექტიანი სოციალური დახმარება, რომელიც ჩვენ მივიღეთ.

გარდა ამისა, მთავრობისა და საბანკო სექტორის ერთობლივი გადაწყვეტილებით, პენსიების დარიცხვა და შესაბამისად გაცემა დაიწყება ყოველი თვის 1-ლიდან 14 რიცხვამდე, შესაბამისი განრიგის მიხედვით.

— ჩვენი ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, გახლავთ ჩვენი ღვაწლმოსილი მოხუცები, ჩვენი პენსიონერები. აქაც, ჩვენ გვქონდა საკმაოდ შედეგიანი მსჯელობა საბანკო სექტორთან და მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილებები. მოგეხსენებათ, რომ პენსიები ჩვენს პენსიონერებს ერიცხებათ ყოველი თვის 14 რიცხვში, რაც ბანკების ფილიალებში და განსაკუთრებით „ლიბერთი ბანკის“ ფილიალში საკმაოდ მაღალი დისკომფორტის, რიგების საბაბი იყო. პანდემიის პირობებში, დისკომფორტის გარდა, ეს არის მაღალი რისკის მატარებელი ეპიდემიის გავრცელებისთვის. მოგეხსენებათ, რომ მოხუცები მაღალი რისკის ჯგუფში არიან. ამიტომ, ჩვენ საბანკო სექტორთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პენსიების დარიცხვა და შესაბამისად გაცემა დაიწყება ყოველი თვის 1-ლიდან 14 რიცხვამდე, შესაბამისი განრიგის მიხედვით. რა თქმა უნდა, ყველა პენსიონერს ეცოდინება თავისი განრიგი. ამას უზრუნველყოფს ბანკი...

გარდა ამისა, საქართველო 95 ქვეყნის მოქალაქეებს სთავაზობს პროგრამას — „იმუშავე საქართველოდან“.

როგორც პრემიერ-მინისტრმა თქვა, ეს პროგრამა 95 ქვეყნის, დისტანციურად მომუშავე სხვადასხვა გლობალური კომპანიის თანამშრომლებს, მისცემს საშუალებას, მინიმუმ 180 დღის განმავლობაში, საქართველოდან დისტანციურად შეასრულონ სამუშაო ვალდებულებები.

„მოგეხსენებათ, გლობალური პანდემიის პირობებში სულ უფრო და უფრო მეტი, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაცია, ასევე, გლობალური კომპანია გადადის დისტანციურ მუშაობაზე და ფაქტობრივად ადამიანის გეოგრაფიულ მდებარეობას არ აქვს მნიშვნელობა იმისთვის, რომ დისტანციურად განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობები. ამიტომ, ჩვენ ვთავაზობთ 95 ქვეყანას პროგრამას — „იმუშავე საქართველოდან“, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენს რეგიონში ვირუსის მართვის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევები დავაკონვერტიროთ კონკრეტულ შემოსავლებში ჩვენი ტურისტული სექტორისთვის. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს პროგრამა იმუშავებს 95 ქვეყნისთვის, რაც ნიშნავს იმას, რომ 95 ქვეყნის სხვადასხვა გლობალურ კომპანიებში დისტანციურად მომუშავე თანამშრომლებს, ჩვენ, ვეპატიჟებით საქართველოში და მინიმუმ 180 დღის განმავლობაში ვთავაზობთ დისტანციურად საქართველოდან შეასრულონ თავიანთი სამუშაო ვალდებულებები. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოში მათი ყოფნა პირველ რიგში იყოს უსაფრთხო მათი ჯანმრთელობისთვის და, რა თქმა უნდა, ასევე, კომფორტული. ეს პროგრამა ატვირთულია უკვე stopcov.ge-ზე და ყველას შეუძლია ამით სარგებლობა“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ამასთან, საქართველოს მთავრობამ გუშინ გამოაცხადა 100 მლნ ლარიანი საგარანტიო ფონდი, რომელიც განკუთვნილია ქვეყანაში დაუსრულებელი მშენებლობის დაზღვევისთვის.

პრემიერის თქმით, 2008-2009 წლების კრიზისების შემდგომ და უფრო ადრეც დარჩენილი დაუსრულებელი მშენებლობები დღესაც ამახინჯებენ არა მხოლოდ თბილისს, არამედ ბევრ სხვა ქალაქს და სოციალურ პრობლემებს უქმნიან მოქალაქეებს. — ეს გახლავთ კიდევ ერთი სექტორული დახმარების მხარდაჭერის პროგრამა..

კახა კალაძე: ეს ქალაქი არის ყველასთვის...

მუნიციპალიტეტის **მთავარი ამოცანა სატრანსპორტო პოლიტიკის გატარება და პირველ რიგში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მოთხოვნის გაზრდაა. ამის შესახებ თბილისის მერმა თბილისის ავტობუსის სატრანზიტო დერეფნის პრეზენტაციაზე განაცხადა, სადაც საზოგადოებას სატრანსპორტო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები წარუდგინა.**

კახა კალაძის თქმით, მნიშვნელოვანია, დედაქალაქში მეტი საავტობუსე ზოლის გაჩენა, რათა მოქალაქეებმა გადაადგილება კომფორტულად და სწრაფად შეძლონ.

„ჩვენი სატრანსპორტო პოლიტიკა საკმაოდ აქტუალური თემაა. რეფორმა, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ, მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქის, მასში მცხოვრები ადამიანების, ჩვენი შვილების, მომავალი თაობისთვის და თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის. ჩვენი პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ გავზარდოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარება, მიმზიდველი გავხადოთ ტრანსპორტი. სტატისტიკის მიხედვით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარება შემცირებული იყო, რადგან მოძველებული საავტობუსე პარკი გვყავდა, რომელიც სერიოზულ დისკომფორტს წარმოადგენდა. ე.წ. ყვითელ ავტობუსებს ყველანაირი რესურსი ამოწურული ჰქონდა.

ჩვენს პოლიტიკაში მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაფარვის არეალის გაზრდა. გვაქვს უბნები, რაიონები, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მოძრაობს ან თუ მოძრაობს, მოცდის დრო არის დიდი — 40-45 წუთი და ზოგჯერ ერთი საათიც კი. ხშირია საუბარი იმაზე, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ავტობუსების დამატებაა საჭირო. არავინ ფიქრობს, რომ ავტობუსების დამატებით ჩვენ კიდევ უფრო მეტ პრობლემას შევქმნით. პირობითად, დღეს თუ ორი ავტობუსი და 30 მანქანა დგას საცობში, ავტობუსების დამატებით, საცობიც გაიზრდება. შესაბამისად, მოგვარების გზა ერთადერთია — გავაჩინოთ სპეციალური საავტობუსე ზოლები იმისთვის, რომ მოქალაქეებმა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე შეძლონ გადაადგილება“, — განაცხადა თბილისის მერმა.

ამასთან, კახა კალაძის თქმით, ქალაქი ყველასია და მუნიციპალიტეტმა არა მხოლოდ კერძო ავტომობილების მძღოლების, არამედ ქვეითების, ავტობუსით, ველოსიპედით თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებებით მოსარგებლეების ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოს.

დავით ზალკალიანი ამერიკელ სენატორს ესაუბრა

გუშინ, ამერიკელ სენატორს, ქრის ვან ჰოლენსა და ჩემ შორის საინტერესო საუბარი შედგა. ჩვენ აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ყველა მნიშვნელოვან საკითხსა და ასევე, ჩვენი მტკიცე თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების გზებზე ვიმსჯელეთ, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე წერს. მისი თქმით, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატების სტრატეგიული თანამშრომლობა უმაღლეს ნიშნულზეა და საერთო ღირებულებებსა და ერთიან გეოსტრატეგიულ ინტერესებს ემყარება.



„მე მადლობა გადავუხადე სენატორ ვან ჰოლენს აშშ-ს სენატის მიერ ჩვენი ქვეყნის მიმართ, კერძოდ კი, დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის შეფასების კუთხით გამოხატული მხარდაჭერისთვის. სენატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ავღანეთში ნატოს მისიის წარმატებით განხორციელებაში. გამოვთქვით მზაობა, რომ კვლავაც განვაგრძოთ ერთობლივად მუშაობა ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით“.

ავტოიმპორტიორები დახმარებისთვის პრემიერ-მინისტრს მიმართავენ

საქართველოს **ავტოიმპორტიორთა ასოციაციის წევრებმა მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრის სახელზე წერილი შეიტანეს.** ისინი მთავრობის მეთაურს შემდეგი მოთხოვნებით მიმართავენ: **პირველი — მაისის შემდეგ შემოყვანილი ავტომობილების განბაჟების ვადამ გადაიწიოს და მეორე — საზღვრები გაიხსნას იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ავტომობილები რეექსპორტით გადის.**

ასოციაციის წევრების განცხადებით, საქმე ეხება 700-მილიონიან ბაზარს და პოსტპანდემიურ პირობებში, ბაზრის აღდგენა რთული იქნება.

თუ ახლა ფეხს დავაჭერთ ავტოიმპორტიორებს, უკვე გაძნელდება ბაზრის სრულად ამოქმედება. ამიტომ ჩვენი მოთხოვნა არის, ეს ვადა გადაიწიოს და ასევე, გაიხსნას საზღვრები ავტოიმპორტიორებისთვის, რათა ავტოდილერები ორგანიზებულად შემოვიყვანოთ და ისევ ორგანიზებულად გავიყვანოთ ქვეყნიდან“, — განაცხადა საქართველოს ავტოიმპორტიორთა ასოციაციის გამგეობის წევრმა, ალექსი ნონიაძემ.

ნაცების საარჩევნო პროგრამა: შლეგთა „ნაგლობა“ და „ანგლობა“

ახლახან ხელში ჩამივარდა ნაცების საარჩევნო პროგრამის „სასიგნალო ეგზემპლარი“. ეს ე.წ. პროგრამა, სავარაუდოდ, ძალიან მალე გამოქვეყნდება და თავადაც შეიძლება დარწმუნდეთ, რა გამაოგნებელი სისწრაფითა და რამსიშორეზე ერეკებიან! სათაურიც შესაფერისი აქვს —„მთავარი გეგმა“ ჰქვია და „მთავარი არხისა“ არ იყოს, უსაზღვრო „გაქანებასა“ და „გამოქანებში“ არა მგონია, მსოფლიო თუ არა, ადგილობრივი მასშტაბით მაინც ბადალი ჰყავდეს! რა „გირჩი“, რის „გირჩი“ ან რა „სტრატეგია აღმაშენებელი“! გაქანებაც ასეთი უნდა, ენმ-ის „მთავარ გეგმას“ რომ აქვს! ახლა მივხვდი, ენმ ორ ნაწილად რატომ გაიყო — ეს ცრუევროპული ენმ გასაგებია, ხოლო ესენი „ორთოდოქსები“ - ისევ შორეულ აღმოსავლეთს — სინგაპურს, თანაც გასაოცარი გაქანებით, ბოლომდე აწვებიან!

მათი სიშლეგე ამას წინათ უკვე ფართოდ რეკლამირებულ გავრცელებულ საარჩევნო სლოგანშიც გამჟღავნდა, რომ იმუქრებიან: „კიდევ გავაკეთებთო!“

კიდევ ერთი აშკარა საბუთი, რომ ნაცების „ფენომენოლოგია“ სწორედ იგივეა, რასაც დოსტოევსკისთან რუსულად „ბესი“ ჰქვია, ხოლო ქართულად, ზუსტი შესატყვისი სიტყვა პირადად მე არც კი ვიცი, რადგან რაღაც „ეშმაკსა“ და „ქაჯს“ შორისაა.

სიშლეგე და უტიფრობა ნაცების მთავარი თვისებებია, თუმცა, მათ უტიფრობას, ისევე როგორც მათ ფენომენს „ბესი“, ასევე, რუსული სიტყვა - „ნაგლობა“ უფრო უხდება, რადგან განსაკუთრებული, სწორედაც რომ რუსულად „დურაკული“, ე.ი. სრულიად არაქართული, „უცხო“ სიბრიყვითაა შთაგონებული!

ეს უმალ თვალში მოსახვედრია ამ საარჩევნო პროგრამაშიც, რომელიც უფრო ფსიქიატრების გასარჩევია, ვიდრე პოლიტოლოგების, იურისტებისა თუ ეკონომისტებისა! ცხადია, პათოსი მართლაც ესაა: „ისევ გავაკეთებთ!“ ანუ — არც არაფერი გვისწავლია და არც დაგვიწყებიაო!

სოციალური დემაგოგია და უკიდურესი პოპულიზმი მათგან რა გასაკვირია, მაგრამ მაინც —- აფერუმ! ამჯერად საკუთარ თავსაც ბევრად აჯობეს და უტიფრობის, უფრო ზუსტად — სწორედაც „ნაგლობის“ მასშტაბით უპასუხისმგებლო დაპირებების ყველა რეკორდი ერთბაშად მოხსნეს! აი, რამდენიმე „მარგალიტი“ მათი „მთავარი გეგმიდან“:

ამჯერად აღარ იკმარეს მხოლოდ 400-ლარიანი პენსია, 200 000 პენსიონერს დამატებით სოციალურ შემწეობას — 150 ლარს ჰპირდებიან; ასევე ორჯერ, სულზე — 60 ლარამდე თურმე გაზრდიან საარსებო შემწეობას, თანაც 2-ჯერ გააფართოებენ ამ შემწეობის მიმღებთა რაოდენობას, ასევე „გეგმავენ“ საშუალო ხელფასის გაზრდას 2000 (!) ლარამდე და ა.შ და აშ. ყველა ამ აბსურდულ დაპირებას რა ჩამოთვლის?!

ნაცური „ნაგლობის“ სიახლე ამჯერად მხოლოდ ისაა, რომ უფრო ვრცლად და გაცილებით სულელურად იგივე დემაგოგიური პასუხი, როგორიც ადრე, გაუციათ კითხვაზე — კი მაგრამ, ეს ნახტომისებური ზრდა - როგორ? როგორ და თურმე ისევ ძალიანაც მარტივად: გადასახადებს გავაუქმებთო! ამჯერად, მათი დემაგოგური პოპულიზმი აღარავითარ საზღვარს აღარ ცნობს, რადგან ეკონომიკური პროგრამის მთავარი „ზეღირებულოვანი იდეა“ მართლაც საოცრებაა: საგადასახადო და საშემოსავლო გადასახადების სრული გაუქმება! სახელმწიფო გადასახადებიდან ფაქტობრივად, მხოლოდ დღგ-ს გადასახადი და აქციზი დარჩება.

ამრიგად, „სინგაპურიზაციასაც“ პიპინით „დაუაბგონეს“ და ვგონებ, საერთოდ კოსმოსში არიან გაჭრილნი! რადგან დედამიწაზე, გარდა ახლო აღმოსავლეთის ნავთობითა და გაზით გატრილიარდებული არაბული საშეიხოებისა, არ მეგულებოდა სხვა სახელმწიფო, სადაც საშემოსავლოს არ იხდიან! დავინტერესდი, ეგება ვცდები და ინტერნეტში მოვიძიე კიდეც — თურმე, ჯუჯა სახელმწიფოები ევროპაში, მაგ. მონაკო და ანდორა, ასეთივე ეგზოტიკურ გამონაკლისებს წარმოადგენენ, როგორც ეს ზემდიდარი არაბული ქვეყნები — კუვეიტი, კატარი, ომანი, ბაჰრეინი და სხვ. სულ 10 ყოფილა მსგავსი ქვეყანა. ჰოდა, ნაცური საშეიხო — საქართველო მე-11 იქნება!

რასაკვირველია, გადასახადების რამდენჯერმე შემცირებით ეკონომიკის უკუპროპორციულად და მით უმეტეს - ექსპონენტურად (ანუ ნაცების ანგარიშით — თუ საგადასახადო ტვირთს ორჯერ შევამცირებთ, ეკონომიკა თურმე ოთხჯერაც კი, გაიზრდება!) გაზრდა, ისეთი აბსურდია, რომ მსგავსი სუპერლიბერასტული ზღაპრებისა, არა მგონია, თავად რომელიმე ნაცს, თუკი თვით „მუცლით მეზრაპრე“ ე.ი. მიშა-ჩოყლაყი არ არის, მართლაც სჯეროდეს! „გირჩელებს“ — ასევე შეიძლება, რადგან ისინი „გულწრფელად“ უბერავენ. ნაცებს კარგად ესმით — სრული ბოდვაა, რომ საშემოსავლო და მოგების გადასახადების ეკონომიკაში მთლიანად დატოვება იმდენად გაზრდის მას, რომ თითქმის გაოთხმაგებულ სოციალურ ხარჯებს მხოლოდ დღგ ეყოფა! ბუნებრივია, ამას არ ასწავლიდნენ მაგ უბედურებს წმ. მიხეილის სასწავლებელში, მაგრამ „ნაგლობის“ აკადემია კი უდავოდ ფრიადებზე აქვთ დასრულებული და მიხეილის (სააკაშვილის) დიპლომი, ე.ი. ენმ-ის წითელი მანდატი გულის ჯიბეში უდევთ!

ნაგლობა ნაგლობად და ბოდვა ბოდვად — ბოლო-ბოლო, ასეთი „მთავარი გეგმით“ გახალისდები კაცი, მაგრამ ნაცური სიშლეგე უკვე განსაკუთრებით მავნე და საშიშიც ხდება, როცა „ანგლობაში“ გადადის!

კი ვხუმრობ, მაგრამ მათი „ანგლობა“ სულაც არ არის ისეთი უწყინარი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს. მართლაც, აბა დავფიქრდეთ, რა შეიძლება ეწოდოს მათ ე.წ. იდეას, რომ უზენაესი სასამართლოს (რომელიც, თურმე იმავდროულად საკონსტიტუციო სასამართლოც იქნება), ასევე სააპელაციო სასამართლოების „ყველა კოლეგიის უმრავლესობა აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან“ მოწვეულმა და ხანგრძლივი ვადით დანიშნულმა მოსამართლეებმა“ (სიტყვასიტვით ასე უწერიათ!) უნდა დააკომპლექტონ? ეს „ანგლობა“ ე.ი. — სასამართლოს ანგლო-ამერიკანიზაცია, სინამდვილეში ხომ ეროვნული სასამართლოს დესუვერენიზაციას ნიშნავს!

რასაკვირველია, აქ მთელი სისრულით ჩანს მათი ეროვნული ნიჰილიზმი, მავნე და საშიში, თანაც ბოროტი სკეპტიციზმი, რომ ქართველები თავიანთ სასამართლოს თავადვე ვერასდროს გამართავენ. ნაცური ანტიეროვნული ბუნება კვლავაც იგივეა, როგორც თავის დროზე ისინი ყალბად გაგებული, ე.ი. „ანგლური ლიბერალიზმით“, ებრძოდნენ „ჩამორჩენილ ქართველ ხალხს“ (რისთვისაც ცხონებულმა კახა კაციტაძემ მათ „ბნელეთთან მებრძოლები“ შეარქვა), თურმე ახლა ამ ბრძოლის დასასრულებლად დამოუკიდებელი სასამართლოს წართმევას უპირებენ! და თავხედობაც ჰყოფნით, „მთავარ გეგმაში“ ამაზე ხმამაღლა ასე „ნაგლად“ ისაუბრონ!

ბუნებრივია, ისინი საკუთარ ხალხს — ქართველებს არ იცნობენ და ამიტომაც, საქართველოს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის იურისდიქციას, ე.ი. ეროვნული სუვერენიტეტის ერთ-ერთ მთავარ ბურჯს, არც ცნობენ!

ქართველ ხალხს რომ იცნობდნენ, ისიც ეცოდინებოდათ, რომ ყველა ეროვნული საქმე, უწინარესად, სასამართლო სისტემაც უნდა „ჩვენადვე გვეყუდნოდეს!“ და ეს შეუვალი პრინციპი გადასინჯვას არ ექვემდებარება! ქართველი ერის სუვერენობა ვერასდროს ველარ იქნება ვინმესი, ვინც არ უნდა იყოს იგი, გარეშე მტერი თუ მასზე უარესი — შინაური მოღალატე, ვითომ „ანგლურად“, სინამდვილეში — რუსულად, ე.ი. „ნაგლურად“ — შეცილებული! ქართველი ერი ამას თავს შეაკლავს და აღარასდროს დაუშვებს!

სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როგორ წარმოუდგენიათ ამ სულგაყიდულებს პრაქტიკაში თავიანთი „ანგლობა?“ თუკი საკასაციო და სააპელაციო სასამართლოს ყველა კოლეგია „ანგლო-ამერიკული“, თანაც, თურმე — ერთბაშად, გახდება, რა ენაზე უნდა განხორციელდეს საქართველოში მართლმსაჯულება? ნუთუ ინგლისურად? დარწმუნებული ვარ, „დიახ, როგორც სინგაპურშიაო“ — „ნაგლად“ გვიპასუხებენ! იმასაც კი ვერ მოიფიქრებენ, თარჯიმანი მაინც გამოიყენონ და ეს „ანგლური სასამართლო“, ჩვენი მეხსიერებისთვის კარგად ნაცნობ „ძველი ვოდევილების“ ძველ სასამართლოს მაინც მიამგვანონ!

რასაკვირველია, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის — აშშ-სა და ასევე, მეგობარი ბრიტანეთისთვის, სრულიად გაუგებარი და ჩვენთვის სამარცხვინო იქნება მსგავსი ღირსებააყრილი, მაშასადამე, არსით აბსოლუტურად — ანტიდასავლური დამოკიდებულება საკუთარი სასამართლოს და ეროვნული სუვერენიტეტის მიმართ!

დალოცვილებს, ასეთი რამ, რომც გაიფიქრონ, ხმამაღლა სათქმელად ენა როგორ უტრიალდებათ?! ნუთუ ქართულ სკოლაშიც არასდროს უვლიათ? ილია რომ არ წაუკითხავთ, გასაგებია, მაგრამ თუნდაც „ძველი ვოდევილების“ შესახებაც არაფერი სმენიათ მშობლებისგან?! თუ ჰგონით, რომ ინგლისურ ენაზე და ანგლო-ამერიკელის მოსამართლეობა რაიმეთი უკეთესია რუსულ ენაზე და რუსის მოსამართლეობისგან?!

სრული უცოდინარობა, უკიდურესი არაკომპეტენტურობა და თითით საჩვენებელი სირეგვენეა ისიც, რომ თურმე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე „პრეცედენტული სამართალი“ უნდა გადმოვიღოთ და დავამკვიდროთ! სად ანგლო-ამერიკული პრეცედენტული სამართალი და სად ჩვენი, მყარად კონტინენტურ-ევროპული სამართლებრივი ტრადიცია? ან მოქმედ სამართლებრივ სისტემას, რომელსაც სრულყოფილებამდე ბევრი აკლია, მაგრამ ცდა და გარჯა არ უნდა დავაკლოთ, რომ თავისი გზით განვითარდეს და ხარვეზები რაც შეიძლება სწრაფად დაიძლიოს, მაგალითად — იგივე სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ კოდექსებს, ნეტავი რას უპირებენ?! ნუთუ მართლა — წყალში გადაყრას?!

აი, სწორედ ამ „ნაგლობისა და ანგლობის“ გამო, სირცხვილია, ქართველებო, ძვირფასო ბატონებო და ქალბატონებო, უდიდესი ეროვნული სირცხვილია, ნაცისთვის ხმის მიცემა!

დავით ზარდიაშვილი

დაბრუნების შემთხვევაში ის ციხეში აღმოჩნდება!

საქართველოში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მსოფლიოში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, ამიტომაც ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით გასამართლდება ექსპრეზიდენტი სააკაშვილი და დაბრუნების შემთხვევაში, ციხეში აღმოჩნდება. ამის შესახებ „2020NEWS“-თან საუბრისას მთაწმინდის ოლქის მაჟორიტარმა, — ლადო კახაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, სახელმწიფო მიიღებს საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს თუ კი, ის წარდგენილი ბრალის მოხდისთვის მზად იქნება.

„ჩვენ მზად ვართ მიხეილ სააკაშვილის მისაღებად, მთავარია ის იყოს დაბრუნებისთვის მზად და საკუთარ დანაშაულზე პასუხისგებისათვის. თუ კი ის დაბრუნდება, გასამართლდება საქართველოში არსებული კონსტიტუციით. ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი ყველაზე სამართლიანი სახელმწიფოა მთელს მსოფლიოში, უსამართლოდ არავინ გაუსამართლებიათ, სწორედ ასე იქნება მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაშიც. ის სამართლიანად აგებს ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხს“, — განაცხადა კახაძემ.

კახაძის თქმითვე, საქართველო არ დაუშვებს არეულობის მოწყობის მცდელობას. **„ჩვენს ქვეყანას დესტრუქტორები არ სჭირდება, ამ 8 წლის განმავლობაში შევძელით და მოვიპოვეთ სტაბილურობა. ამის დარღვევის საშუალებას კი არავის მივცემთ. იმ კალაპოტიდან ვერ ამოგვაგდებენ, სადაც 8 წელია ვიმყოფებით. თუ კი ვინმე შეეცდება საქართველოში არეულობის, ან გადატრიალების მცდელობას, შესაბამისი პასუხი გაეცემა!“,** — განაცხადა სააგენტოსთან საუბრისას ლადო კახაძემ.

MIHA HAMODI: „ქართული ოცნების“ ვებ-გვერდი სააკაშვილის განცხადებას სარკასტულად ეხმიანება

miha hamodi — ასე სარკასტულად ეხმიანება პარტია „ქართული ოცნების“ ოფიციალური ვებ-გვერდი მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვას. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის თქმით, ის საქართველოში დაბრუნებას აპირებს.

„ზუსტად ვხვდები და ვიცი, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ ბევრად უფრო მაგრად, ბევრად უკეთესად და თითოეულ ქართველს შეუძლია იყოს მდიდარი და ეს ჩვენ ერთად გამოგვივა! მე ვბრუნდები, — წერს სააკაშვილი.

არის თუ არა საჭირო აფხაზეთთან და ოსეთთან დიალოგი?

აფხაზეთის პრობლემა რახანია საქართველოს მოსახლეობის ცხოველი ინტერესის საგანია „საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების მიხედვით ხან მაღლა რომ იწევს, ხან დაბლა. მიუხედავად ამისა მასზე საუბარი, კამათი, მსჯელობა მუდმივია, ისე, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე – მოსახლეობის სოციალურ ყოფასა და კეთილდღეობას რომ ეხება. არ შევცდები, თუ ვიტყვი, ამ ჭრილში აფხაზეთზე, ისე, როგორც სამხრეთ ოსეთზე ლაპარაკი არ იქნებოდა, საქართველოს ხელისუფალთ სამშობლოს ღალატის სადარი საბედისწერო შეცდომები რომ არ დაეშვათ.

სერიოზულ შეცდომას ორჯერ ჰქონდა ადგილი – 1992 და 2008 წლებში. თუ პირველ „შეცდომას“ ასე თუ ისე თავის მართლების შემცველი რაღაც კომპონენტი შეიძლება მოეძებნოს, მეორეს ვერაფერი გაამართლებს, ვინაიდან საგანგებოდ მომზადებული აგრესიის ნაყოფია, თანაც ისეთი, რაც უნდა „ხეხო, არ გათეთრდება“.

სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკასა და საზოგადოებაში უხვად არიან „გამთეთრებლები“, რომლებიც საკუთარ თავსაც არწმუნებენ სხვის დანაშაულში და საზოგადოებასაც. თუ საკუთარი თავის დარწმუნებას ნაკლები ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის, საზოგადოების დარწმუნებას – განუსაზღვრელი.

2008 წლის შემდეგ საკმაო დრო გავიდა იმჟამინდელი ვითარების გაანალიზების და ობიექტური დასკვნების გამოტანისთვის, მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკოს-პოლიტოლოგის და საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ აგრესიის „გათეთრების“ სურვილმა და ძალისხმევამ სავალალო შედეგები მოგვიტანა – ერთი ადგილის ტკეპნა. 12 წლის განმავლობაში ვერა და ვერ შევთანხმდით, ვერ შევჯერდით იმაში, რაშიც ჩვენი „ისტორიული ადგილსამყოფელი“ – ევროატლანტიკური სივრცე 2008 წელსვე შეჯერდა.

„გამთეთრებელთა“ მეცადინეობით საქართველოს მოსახლეობა დაშვებულ „შეცდომაზე“ მაღლა ვერ ავიდა, ვერ გადალახა ჩადენილი დანაშაულით გამოწვეული შიში, ვერ ეყო ვაჟკაცობა, სულიერი სიმტკიცე, შეცდომის ასაღიარებლად, მოსანანიებლად, რაც ახალი, შეცვლილი აზროვნების, ყოფის საწინდარი უნდა გამხდარიყო. და რახან ამას ადგილი არ ჰქონია, გრძელდება ორი საწინააღმდეგო მოსაზრების ჭიდილი, სიტყვიერი ომი, არანაკლებად გამანადგურებელი, ვიდრე 2008 წლისა.

ერთ-ერთს და არა ერთადერთს ახლახანს ჰქონდა ადგილი ბეჭდური მედიის ფურცლებზე. ორმა ავტორმა საკუთარი მოსაზრებები გაგვანდო. ისინი ერთმანეთს არ დაპირისპირებიან, ერთმანეთი აუგად არ უხსენებიათ, უფრო მეტიც, მათ ერთმანეთის მოსაზრებაც არ წაუკითხავთ, მაგრამ მკითხველმა ხომ წაიკითხა? და რახან წაიკითხა, დასკვნაც ისეთი გამოიტანა, განვლილი 12 წლის განმავლობაში რომ გამოაქვს – ჩიხური, სამარადისოდ გადაუწყვეტელი, ორჭოფული.

ზემოთ ვახსენე „ერთმანეთს არ დაპირისპირებიან-თქო“, ვინაიდან ერთმა, საკუთარი მოსაზრების მკითხველისთვის გასაცნობად, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აირჩია, მეორემ – „საქართველო და მსოფლიო“. პირველი, მოძრაობა „დაბრუნების“ თავმჯდომარე მალხაზ პატარაიაა, მეორე – შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი გიორგი შერვაშიძე.

ორივე რესპონდენტი ჟურნალისტთა მიერ დასმულ კითხვებს პასუხობს. კითხვები კი ჟურნალისტებს აფხაზეთის პრეზიდენტის ბჟანიას და უშიშროების საბჭოს მდივნის შამბას განცხადებების შემდეგ დაებადათ.

ბჟანია-შამბას განცხადებებმა, ერთიმეორის მიყოლებით გაკეთებულმა, ყველა იმათი ყურადღება მიიპყრო, ვინც დიდი თუ არა, მცირედი ოპტიმიზმით მაინც არის გამსჭვალული ერთმანეთისგან მოწყვეტილი ხალხის დასაახლოებლად. ძნელია რაღაც საეჭვო, ქვეყნისთვის საზიანო მოგეჩვენოს შამბას ნათქვამში: **„დიახ, იყო ომი, მაგრამ ჩვენს ისტორიაში ბევრი იყო შემთხვევა, როდესაც მოხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ინტერვენცია. ასევე, აფცაზეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ინტერვენცია... მსგავსი რამ სხვაგანაც ბევრი მომხდარა, თუნდაც ევროპაში, ქვეყნები იბრძოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ, იყო სისხლიანი ომები, მაგრამ დღეს ისინი მეგობრულად ცხოვრობენ. მუდმივად მტრობით ცხოვრება შეუძლებელია. უნდა ვიფიქროთ მომავალზე, ჩვენს ბავშვებზე. არ უნდა გავზარდოთ ახალგაზრდა თაობა სიძულვილში. ეს გაანადგურებს მათ სულებს. უნდა ვიფიქროთ მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე“.**

მაგრამ მოგვეჩვენა: **„ეს არის მორიგი სატყუარა ჩვენთვის, რათა განხორციელდეს რუსეთის მიერ საქართველოსთვის გამოცხადებული რეალობისადმი შეგუების პოლიტიკა. გახსოვთ, ალბათ, რომ ჯერ პუტინმა, ასევე ლავროვმა განაცხადეს, შეეგუეთ რეალობას და ესაუბრეთ მეორე მხარესო. ...ნუ მოვიტყუებთ თავს, ეს არის რუსული პოლიტიკის ნაწილი, შეგვაგუონ რეალობას. ამაზე დათანხმება გავრილოვშჩინაზე დათანხმებაა“,** – აცხადებს პატარაია.



კარდინალურად სხვა მოსაზრება აქვს შერვაშიძეს. აი, ისიც: **„დიალოგი, ნებისმიერ შემთხვევაში რომ აუცილებელია, ყველა ვთანხმდებით. ეს არის საკითხი, რომელზეც შეუძლებელია განსხვავებული აზრი არსებობდეს. რა თქმა უნდა, მისასალმებელია ნებისმიერი, თუნდაც ირიბი მინიშნება კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე. ... ვეთანხმები შამბას, რომ არ შეიძლება ჩვენი ახალგაზრდები სიძულვილით იზრდებოდნენ. ... დიალოგი თუ არ გაიმართება, გამოდის, რომ ქართულ მხარეს არ სურს ურთიერთობა ჰქონდეს აფხაზურ მხარესთან. ჩვენ მუდმივად გავიძახით, რომ ურთიერთობა აუცილებელია, მაგრამ პრაქტიკულად არაფერს ვაკეთებთ“.**

პატივცემული მალხაზი არ გამინაწყენდება, თუ მის მოსაზრებას შამბასა და შერვაშიძის მოსაზრებებს ვამჯობინებ, ვინაიდან მივიჩნევ პროგრესულად, პრაგმატულად და რაც მთავარია, ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთ გზად. ვერც იმაში დავეთანხმები მას, რომ ჟენევის ფორმატი დიალოგისთვის „არაჩვეულებრივია“.

„თავისთავად, დიალოგზე უარის თქმა სისულელეა, მაგრამ ამისთვის გვაქვს არაჩვეულებრივი ფორმატი ჟენევაში. იქ მკაფიოდაა განსაზღვრული მხარეები – რუსეთი და საქართველო. ... თუ ლაპარაკი უნდათ, ეს შესანიშნავი ფორმატია. საერთაშორისო ორგანიზაციებიც იქვე არიან და ისინი არიან შუაში ჩვენსა და რუსეთს შორის. რუსებს უნდათ, ოკუპაციის კანონიც გავაუქმოთ, რაც აუცილებლად დამთავრდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობით“, – აცხადებს პატარაია.

ჟენევაში საქართველო, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პირისპირაა, ხოლო რუსეთი, ისეა წარმოდგენილი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები. რაც შეეხება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, რუსეთმა 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარა ისინი, რასაც მოგვიანებით სხვათა მხრიდან აღიარება მოჰყვა.

მალხაზ პატარაიას მოსაზრება – ჟენევის ფორმატის სარგებლიანობასთან დაკავშირებით არ ეთანხმება საქართველოს საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტოლოგთა დიდი ნაწილის მოსაზრებას. ისინი თვლიან, რომ ქმედითი ზომების მისაღებად სხვა ფორმატია საჭირო, რასაც არ იზიარებენ ე.წ. ჩვენი დასავლელი პარტნიორები, ნაციონალები და მათი სატელიტი პარტიები, ისე, როგორც მმართველი პარტია. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს ასეთი მიდგომა აქვთ ჟენევის ფორმატთან, ვინაიდან ის (ფორმატი) მოლაპარაკებებზე კონტროლის დაწესებას უზრუნველყოფს და არ იძლევა ერთი-ერთზე გულახდილი დიალოგის საშუალებას.

დასავლელი „პარტნიორები“ კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საქართველო-რუსეთის დიალოგსაც, იმის შიშით, რომ არ მოვიხიბლოთ რუსეთით, არ გადაგვიბიროს მან, არ აღმოჩნდეს ვითომ პარტნიორი (პარტნიორები) თამაშგარე მდგომარეობაში. ამ შიშნარევი მოსაზრების მთავარი მიზანი არის შემდეგი: დიდხანს შენარჩუნდეს საქართველო-რუსეთ-აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთს შორის 2008 წლის ომის შედეგად შექმნილი ვითარება; რომ რუსეთს არ მიეცეს საქართველოზე თუნდაც სუსტი გავლენის მოპოვების შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფალთა მეცადინეობით ქვეყნის შიდა კონფლიქტი საერთაშორისო სარბიელზე გარჩევის საგნად იქცა, რაც პოზიტიურ მიღწევად არ შეიძლება ჩაითვალოს. აფხაზთა მხრიდან გამოვლენილ ჭინჭყლს, უკმაყოფილებას, ხშირ შემთხვევაში ობიექტურს, სერიოზული, დაფიქრებული, გაანალიზებული, მეგობრული განხილვა ესაჭიროებოდა და არა ქედმაღლური დამოკიდებულება, სადამსჯელო ოპერაციების, ვითომდა რკინიგზის დაცვის საბაბით, ჩატარება. პრობლემა ქვეყნის შიგნით უნდა გადაწყვეტილიყო და არა გარეთ.

1992 წელს, ცენტრის მიერ დაწყებულ ძალისმიერ მოქმედებას მოჰყვა ის, რასაც სამოქალაქო ომი ჰქვია და ამ შემთხვევაში, ისე, როგორც 2008 წლის შემდეგ, სხვისი დადანაშაულება საკუთარი სისუსტის და არა სულიერი სიძლიერის ან ობიექტურობის გამომხატველია.

1992 წლის ომის შემდეგაც აფხაზებმა საკუთარ თავში გამონახეს ძალა, რამაც მათ მისცა საშუალება ჩვენთან სხვადასხვა ფორმატში მოლაპარაკებების წარმოებისა. ერთ-ერთ მოლაპარაკებაში, „შლაინინგის პროცესად“ წოდებულში მეც მივიღე მონაწილეობა. ეს პროცესი ინგლისელი და გერმანელი შუამავლების ხელშეწყობით, მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ავსტრიასა და გერმანიაში. სხვათა შორის, ერთ-ერთ რაუნდში შამბაც იღებდა მონაწილეობას.

„შლაინინგის პროცესის“ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს პოზიტიური გადაწყვეტილება, რომელიც 2003 წლის შეხვედრის დროს იქნა მიღებული. მის მიხედვით, 10 წლის განმავლობაში უნდა აღდგენილიყო საქართველო-აფხაზეთს შორის ყველა სახის ურთიერთობა, გარდა პოლიტიკურისა. ორივე მხარე დარწმუნებული ვიყავით, რომ კომუნიკაციების დაწყება, სავაჭრო, კულტურული, სამეცნიერო, ეკონომიკური, სხვა სახის კავშირების აღდგენა-განვითარება დაგვაახლოვებდა ერთმანეთთან, გაგვიჩენდა ერთმანეთისადმი ინტერესს, ნდობას, რაც გზას გაკაფავდა პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრაში. და თუ დაახლოება არ მოხდებოდა, ერთმანეთთან დაშორებას ვერავინ შეაჩერებდა.

ყოველივე ეს ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს ზედამხედველობით უნდა წარმართულიყო. საკოორდინაციო საბჭოს შექმნის და ერთმანეთთან დაახლოების საკითხი „შლაინინგის“ რამდენიმე სხდომაზე იხილებოდა. სამწუხაროდ, ამ პროექტმა არავითარი დაინტერესება არ გამოიწვია საქართველოს ხელისუფლებაში, რასაც ვერ ვიტყვით აფხაზეთზე.

2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“ კი არათუ პროექტი, არამედ საქართველოც დაასამარა. ხელისუფლებაში მოსულმა ნაცმოძრაობამ „დაკარგული“ აფხაზეთის ძალისმიერი გზით დაბრუნება გადაწყვიტა, თუმცა, მისმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. 2008 წელს კი მან ახალი მიმართულებით, ამჯერად სამხრეთ ოსეთზე, მიიტანა იერიში, რაც ქვეყნისთვის საბედისწერო გამოდგა.

არც ამჯერად გვეყო ვაჟკაცობა გვეთქვა სიმართლე. ნაცვლად ამისა, თითი რუსეთისკენ გავიშვირეთ – ის გამოვაცხადეთ აგრესორად. და ეს მაშინ, როდესაც ომის გამჩაღებელი აღიარებს: „მე, ადრეც ღიად ვაცხადებდი და ახლაც ვაცხადებ, რომ, დიახ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გვეწარმოებინა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში. ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ეს იყო მძიმე გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებდა ქვეყნისა და ერის წინაშე პასუხისმგებლობის მქონე ნებისმიერი დემოკრატიული ხელისუფლება“ – **მიხეილ სააკაშვილი.**

ქართული მხარე შეეგუა დასავლელთა მიერ გამოწერილ რეცეპტს – რუსეთთან დიალოგი მიუღებელია და შეეგუა მრავალი ფაქტორის გამო. დავასახელებ ზოგიერთს – საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების სურვილის არქონა; საკუთარი პრობლემების სხვაზე (დასავლელ პარტნიორებზე) გადაბარება; უძრაობით გამოწვეული მშვიდი ცხოვრებით ტკბობა; ხალხის ტყუილი დაპირებებით – დავიბრუნებთ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, გამოკვება; არაპროფესიონალიზმის შიშით რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებაზე უარის თქმა ...

სააკაშვილი იმაშიც მართალი იყო, როდესაც განაცხადა, რომ ომი საქართველომ მოიგო, ოღონდ PR-ული, მსოფლიოს თვალში ნაცრის შემყრელი, რუსეთის გასაშავებელი. მედიური ომი წარმატებით გრძელდება. ყველა საერთაშორისო ღონისძიებაზე ხელისუფლება-ოპოზიცია ომახიანად გაიძახის რუსეთის აგრესორობაზე. დასავლეთი ამ წიოკში გვეხმარება, ზურგს გვიმაგრებს, შეშფოთებას გამოხატავს. შედეგი? ნული.

ხელისუფლებები მოდიან და მიდიან, დაპირებების გორებს ახვავებენ და ასეც გაგრძელდება, თუ ეჭვით შევხედავთ ყველაფერს, მათ შორის პოზიტიურს – ნათქვამს, თუნდაც მტრის მხრიდან.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ჩვენ სიძულვილში არ გვზრდიდნენ!

ქართველები აფხაზებისა და აფხაზეთის შესახებ

„აქცენტი“ იწყებს მინი-გამოკითხვების ციკლს, რომლის ფარგლებშიც მკითხველს აფხაზეთის, მისი მოსახლეობისა და მასთან ურთიერთობების პერსპექტივების შესახებ საქართველოს რიგითი მოქალაქეების მოსაზრებებს გააცნობს.

ამ გამოკითხვებს, ბუნებრივია, საფუძვლიანი სოციოლოგიური კვლევის პრეტენზია ვერ ექნება, თუმცა შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, პროფესიის, სოციალური ფენისა და გამოცდილების მქონე ადამიანების მოსაზრებები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული განწყობების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას მაინც იძლევა.

ამჯერად თბილისის მკვიდრებს მოვუსმინოთ.

35 წლის ლიდი:

„ომი მხოლოდ ანგრევს. არ მგონია, კიდევ ერთ ომს გაუძლოს ამ ქვეყანამ, ჩვენ ხომ აქ უნდა ვიცხოვროთ?! ამიტომ, ბუნებრივია, მშვიდობის მომხრე ვარ. რაც შეეხება ადამიანებს შორის ურთიერთობებს, პირადად მე პრობლემა არ მაქვს, – შეიძლება, იმიტომ, რომ მიუხედავად ომისა, ადამიანური ტრაგედიებისა, ჩვენ სიძულვილში არ გვზრდიდნენ – სახელმწიფო პოლიტიკა აფხაზების და ოსების სიძულვილი არ ყოფილა; არ გვასწავლიდნენ, რომ რაც მოხდა, მათი ბრალი იყო. აი, თავად ისინი, რიგითი მოქალაქეები (და არა „ტროლები“) როგორ ფიქრობენ, რას ამბობენ ქართველებზე – ეს არ ვიცი და მაინტერესებს. სიამოვნებით ვუმასპინძლებდი მათ ენგურს აქეთ, მოვისმენდი აფხაზურ ამბებს... “

28 წლის ელისო:

„წარმოიდგინეთ, XXI საუკუნეში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეგიძლია, მოხვდე, მაგრამ ენგურს ვერ გადაკვეთ... ასე ოჯახებიც კია გაყოფილი... ეს უსამართლობაა და სიგიჟე... ვერ გეტყვით, რომ ინფორმაციებს ყოველდღიურად ვადევნებ თვალს, მაგრამ ის ვიცი, რომ ხალხს გადაადგილების პრობლემა აქვს და ვფიქრობ, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს: ელემენტარული ლოგიკაა – მათ რომ აქ დევნიდნენ, შეზღუდვებიც არ იარსებებდა. დევნის ერთ ფაქტსაც კი, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი მოჰყვებოდა... ამიტომ გასაგებია, მიმოსვლა და ა.შ. – ყველაფერი ჩუმად რატომ კეთდება – ენგურს აქეთ არაა პრობლემა, პრობლემა ჩვენგან ჩრდილოეთითაა...“.

25 წლის გიგი:

„ძალიან მიყვარს ლაშქრობა, მაგრამ აფხაზეთში, სამწუხაროდ, ვერ ჩავდივარ. არც მათთან ურთიერთობის გამოცდილება მაქვს, არადა სულ მაინტერესებს, ვკითხულობ (ვინც იქაა ნამყოფი), როგორია აფხაზეთი... მითხრეს, თითქოს მთიან აჭარას წააგავს, მაგრამ მაინც სულ სხვაა. მოგზაურობისას რიგით ადამიანებთან მიყვარს ურთიერთობა – ასე უფრო აღიქვამ იმ ადგილს, რომელსაც სტუმრობ, აფხაზებზე კი მხოლოდ გადმოცემით მსმენია... ახლა მეგობრების ნაამბობი გამახსენდა: ერთ-ერთ ღონისძიებაზე იყვნენ აფხაზებთან ერთად და ერთ შენობაში მოუწიათ რამდენიმე დღის გატარება (დეტალებს არ მოვყვები). მიყვებოდნენ, „ერთი-ორი დღე ეჭვით გვიყურებდნენ, მერე ბუნებრივად გავედით ერთმანეთთან კონტაქტზე, დავახლოვდით (ახლაც აქვთ კონტაქტი) და ბოლოს გვითხრეს, „გვაფრთხილებდნენ, ნივთებთან ფრთხილად იყავით, ქართველები ქურდები არიანო“... ის ახალგაზრდები კი მიხვდნენ, რომ ქურდობასთან ქართველობა არაფერ შუაშია, მაგრამ... უბრალოდ ვეტყოდი მათ, რომ სიძულვილს ცხოვრება მიაქვს და მას უარი უნდა ვუთხრათ).

29 წლის ჯაბა:

„აღარ მახსოვს, რომელიღაც სახელმწიფო მოხელემ თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში, „გვსაყვედურობენ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებს ფულს რომ ვახარჯავთო“ – ჯანდაცვაზე იყო საუბარი და გონებაში ჩამრჩა... ხსნიდა, ამიტომ და ამიტომო ... არ ვიცი, ვინ რა უსაყვედურა, მე კი გამიკვირდა, ასე რომ დასვა ვიღაცამ საკითხი, რადგან ვფიქრობ, პასუხი მარტივია: მიუხედავად იმისა, რა მოცემულობაა დღეს, თუ მათ ჩვენიანებად მივიჩნევთ, მაშინ, რა თქმა უნდა, თანაბარი პირობები და შესაძლებლობები უნდა გაგვაჩნდეს, აბა რუსეთის იმედად და მასზე დამოკიდებული ჩემი მტერი იყოს: გადახედონ რუსეთის პარტნიორ ქვეყნებს, რა ყოფაა იქ, როგორი რეჟიმები და პერსპექტივებია...“

36 წლის დავითი:

„პირადად ჩემთვის სამშვიდობო პოლიტიკის ეფექტურობა კითხვებს აჩენს, რადგან მეორე მხრიდან მიმღებლობის მზაობას ვერ ვხედავ. თუმცა, ბუნებრივია, ომი ალტერნატივა კატეგორიულად არაა. გამოსავალს მხოლოდ განვითარებაში ვხედავ – გავხდეთ ეკონომიკურად ძლიერი, ნამდვილად და არა ვითომ ევროპული ქვეყანა“.

52 წლის გივი:

„გაგრაში ვცხოვრობდი. ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები აფხაზეთს უკავშირდება და გული მტკივა: ჩემი შვილები აქ – თბილისში გაჩნდნენ, აქ გაიზარდნენ, ჩემთვის კი სახლი იქაა. ვიცი, რომ ჩემს სახლში სხვა შესახლდა – მეზობლებმა მითხრეს. ომიდან რამდენიმე წლის შემდეგ გადავწყვიტე, რაც იქნება, იქნება, დავრეკავ და იმ ოჯახს ახალ წელს მივულოცავ–მეთქი. არ იყო ჩემთვის ადვილი, მაგრამ დავრეკე. კაცმა მიპასუხა. რომ ვუთხარი, ვინც ვიყავი და მივულოცე, გინება დაიწყო... გავთიშე ტელეფონი და მას შემდეგ აღარ დამირეკავს. ძალიან დამწყდა გული... ასე დაუსრულებლად ვერ გაგრძელდება...“.

33 წლის თამარი:

„ურთიერთობა კარგია და ამ კუთხით პრობლემა არ მაქვს, მაგრამ იცით, არ მგონია, რომ ამ ფარულმა ურთიერთობებმა რეალურად რამე შეცვალოს: პოლიტიკა ჯამში ძალიან დიდ როლს თამაშობს. იმედია, ვცდები“.

35 წლის სოფიო:

„აფხაზეთი ჩემს მეხსიერებაში სულ რამდენიმე მოკლემეტრაჟიან კადრად არის შემორჩენილი: ფერადი კენჭების შეგროვება ზღვის სანაპიროზე; მანდარინის ბაღი, გედების კვება რიწის ტბაზე... მგონი, სულ ეს არის. პატარა ვიყავი, როცა ჩვენი სახლის დატოვება მოგვიწია და მას მერე იქ დარჩენილებთან კონტაქტი აღარ მქონია. ძალიან დიდია გაუცხოება და დღეს რომ უცებ ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ქართველი და აფხაზი მეზობლები, რომლებიც ერთად გაიზარდნენ, წლები იცხოვრეს გვერდიგვერდ, არც კი ვიცი, მოუყრიან თუ არა თავს სიტყვებს ერთმანეთთან დასალაპარაკებლად. მგონია, რომ ხალხთაშორისი ურთიერთობების გაღრმავება (ჯერ, ალბათ, უფრო დამყარება) აუცილებელია. არ ვთვლი, რომ ეს პოლიტიკური კონფლიქტის გადაჭრის გზაა, მაგრამ იმ დროისთვის, როცა გეოპოლიტიკური გარემოებები შეიცვლება და პოლიტიკის დონეზე კონფლიქტი მოგვარებადი გახდება, უნდა იყოს საფუძველი ჩაყრილი ხალხთაშორისი კავშირებისთვის, რათა ნულიდან, უფრო სწორად, მინუსებიდან არ მოგვიწიოს ამ ურთიერთობების აგება“.

დრო ყველაფერს ცვლის: ომები იწყება, მაგრამ ყოველთვის მთავრდება; კედლებს აგებენ, მაგრამ ადრე თუ გვიან ანგრევენ, ზოგჯერ კი ისინი თავისით ინგრევა... ძნელი წარმოსადგენია, XXI საუკუნეში ახალ თაობებს ენგურს იქით და აქეთ, რომელთაც კონტაქტი არასდროს ჰქონიათ და არაფერი დაუშავებიათ, ერთმანეთი რეალურად სძულდეთ... ეს აბსურდი შესაცვლელია... როგორც ჩვენმა ახალგაზრდა რესპონდენტმა აღნიშნა, სიძულვილს ცხოვრება მიაქვს და მას უარი უნდა ვუთხრათ... ერთმანეთის შესახებ მცდარი წარმოდგენა უნდა დაიმსხვრეს, ამისთვის კი კავშირია საჭირო... კედელი გვყოფს? – რაა კედელი ინტერნეტ-ტექნოლოგიების ეპოქაში?! დარწმუნებულები ვართ, ადამიანები კედელს იქით და აქეთ საერთო ენას მაინც იპოვიან. ძალიან გაგვიხარდება, თუ ეს ხმა ენგურს გაღმა მცხოვრებლებამდე მიაღწევს და მათგანაც მივიღებთ გამოხმაურებას.

დიანა მუსელიანი.

მასალა მომზადებულია ახალი ამბების სააგენტო „აქცენტისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოში ჩეხეთის საელჩოს დაფინანსებით ხორციელდება.

აფხაზეთის ე.წ. ეკლესიამ ირმა ინაშვილს ილორის ტაძრისთვის შეწირული ხატი უკან დაუბრუნა!

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ეკლესიამ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერს, ირმა ინაშვილს ილორის ტაძრისთვის შეწირული ხატი უკან დაუბრუნა.

ოკუპირებული აფხაზეთის ეკლესიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ მისიის შესახებ არაფერი იცოდნენ.

„ეს მისია განხორციელდა აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიისთვის შეტყობინების გარეშე. მსგავსი ქმედებები დაუშვებელია, სანამ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიისა და აფხაზეთის სახელმწიფოს აღიარება არ მოხდება“, – ნათქვამია განცხადებაში.

“პატრიოტთა ალიანსის: ლიდერი ირმა ინაშვილი პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი ლომიასთან ერთად ოკუპირებულ აფხაზეთში იმყოფებოდა, სადაც მისი მტკიცებით ილორის ტაძარი მოილოცა.

* * *

„უკვე ვიცი და კომენტარს არ ვაკეთებ“ – ასე გამოეხმაურა „2020NEWS“-თან „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი ადა მარშანია, დე ფაქტო აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან, ირმა ინაშვილის მიერ ნაჩუქარი ხატის უკან დაბრუნების

ფაქტს. კომენტარის გაკეთების დროს, მარშანია საკმაოდ გაღიზიანებული იყო. როგორც ჩანს, „პატრიოტთა ალიანსი“ არ ელოდა თემის ამგვარ შემოტრიალებას.

„არც ვიზიტი და არც საჩუქარი საპატრიარქოსთან შეთანხმებული არ ყოფილა, ამიტომ ამ საკითხზე სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებთ“, – განაცხადა მამა ანდრია ჯაღმაიძემ.

გადაგდება „ნაციონალური მოძრაობის“ სავიზიტო ბარათია

ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, რატი იონათამიშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ისნის ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატის დაყენებასთან დაკავშირებით განაცხადა.

„ნაციონალური მოძრაობა“ იქცევა ზუსტად ისე, როგორც ყოველთვის იქცეოდა. ადრე ის დაკავებული იყო ქართული საზოგადოების გადაგდებით, დღეს საკუთარ პარტნიორებს აგდებს. გადაგდება „ნაციონალური მოძრაობის“ სავიზიტო ბარათია, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სინამდვილეში, ისინი კარგად ხვდებიან, რომ სხვაობა „ქართულ ოცნებასა“ და მთლიანად, ხელმოცარულ ოპოზიციას შორის იმდენად დიდია, რომ ისინი კონკურენტებად მხოლოდ ერთმანეთს აღიქვამენ და წინასაარჩევნო ბრძოლა ერთმანეთთან აქვთ გაჩაღებული“, – განაცხადა რატი იონათამიშვილმა.

საქართველოს არა ჰყავს შვილი დასაკარგავი!..

იუსტიციის სამინისტრო ხელოვნური განაყოფიერების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას განცხადებით ეხმიანება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ინ ვიტრო განაყოფიერების თემაზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ რიგი მედიასაშუალებებით ყალბი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოსდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოიცა საკანონმდებლო აქტი, რომლის მიხედვითაც, თუ ქორწინებიდან ერთი წელი არ არის გასული, ძალი ინ ვიტრო განაყოფიერებას ვეღარ შეძლებს.

„საქართველოს იუსტიციის სამინისტრო შეახსენებს ყველა დაინტერესებულ პირს, რომ ინ ვიტრო, ანუ ხელოვნური განაყოფიერება და მისგან გამომდინარე ორსულობა (ქალის სხეულის გარეთ, ლაბორატორიულ პირობებში ემბრიონის შექმნა და შემდგომ ემბრიონის ბიოლოგიური დედის სხეულში დაბრუნება) წმინდად სამედიცინო საკითხებია და მათი რეგულირება იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის მინისტრის კომპეტენციაში არ შედის. შესაბამისად, ვერ შეიცვლებოდა ამასთან დაკავშირებული წესები და სახეზეა ყალბი ინფორმაცია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ასევე შეახსენებს ყველას, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სუროგაციის მეთოდით, მათ შორის უცხოეთში შექმნილი და გაყინული ემბრიონების მეშვეობით საქართველოში დაბადებული ბავშვებით ვაჭრობის ტრანსნაციონალური დანაშაულის პრევენცია და იმ ახალშობილთა უფლებების დაცვაა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სუროგაციის გზით იბადებიან და შემდეგ საქართველოდან გაჰყავთ. სწორედ ამ საქმიანობით დაკავებული ზოგიერთი ორგანიზაცია, რომელსაც მხოლოდ საკუთარი ფინანსური სარგებლის მიღების ინტერესი ამოძრავებს, დგას ყალბი ინფორმაციების გავრცელების უკან.

ასევე, სახელმწიფოს ვალია, ბავშვთა უფლებების გარდა, დაიცვას სუროგაციის პროცესში ჩართული იმ ქალის უფლებები, რომლის სხეულშიც, გარკვეული ფინანსური ანაზღაურების სანაცვლოდ, ხდება სხვა პირების ბიოლოგიური მასალისგან დამზადებული ემბრიონის მოთავსება („სუროგატი დედა“). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სუროგაციის სერვისით მოსარგებლე პირთა 98 პროცენტი უცხო ქვეყნის მოქალაქე წყვილები არიან, ხოლო სუროგატი დედების 100 პროცენტი საქართველოს მოქალაქე ქალები არიან.

ამასთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტოში პირველი სუროგაციის გზით დაბადება 2012 წლის 10 აპრილს დარეგისტრირდა და იმ დროს პრაქტიკულად მოწესრიგებული იყო მოცემული სფერო. ყველა ზემოხსენებული პრიორიტეტიდან გამომდინარე, 2013 წლიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სხვა კომპეტენტურ უწყებებთან ერთად, იღებს რეგულაციებს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არ დაუშვას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩვილებით ვაჭრობის დანაშაულის ჩადენა და ამასთანავე მოახდინოს პრევენცია იმისა, რომ საქართველოდან გაყვანილი სუროგაციით დაბადებული ბავშვი წამების, არაადამიანური მოპყრობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი არ გახდეს.

2020 წლის 25 აგვისტოს, იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც საქართველოში სუროგაციის გზით ბავშვის გაჩენის შესახებ ნოტარიუსის წინაშე გასაფორმებელი ხელშეკრულების თავისებურებები მორიგჯერ დაზუსტდა. კერძოდ, წყვილს (კვლავაც იგულისხმება ქალი და მამაკაცი მხოლოდ), რომლის მიზანიც სუროგაციის გზით ბავშვის გაჩენაა, ამ ბავშვის აღზრდის გრძელვადიანი მიზანი უნდა ჰქონდეს. ის არ უნდა წარმოადგენდეს ფიქტიურ წყვილს, რომელიც მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რომ სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვი გაიყვანოს საქართველოდან დანაშაულებრივი მიზნებისათვის. ამისათვის, შესაბამისი ხელშეკრულების დადებისას, წყვილმა უნდა დაადასტუროს, რომ ან იმყოფება ქორწინებაში სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში ან არ იმყოფება ქორწინებაში და აქვს ფაქტობრივი თანაცხოვრების ერთი წლის გამოცდილება მაინც.ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი თანაცხოვრების ფაქტი შესაძლებელია დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტებით (საინფორმაციო-სამისამართო ბარათი, რომლითაც დასტურდება ერთ მისამართზე რეგისტრაციის ფაქტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება საერთო სარგებლობისთვის გამიზნულ ქონებაზე თანამესაკუთრეობის ფაქტი, რელიგიური ქორწინების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა).

„აღნიშნული ბრძანების ამოქმედებამდე სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება, ცვლილებების ამოქმედებამდე არსებული წესის შესაბამისად“, — ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

◎ კანდელაკის ფანტაზიის პასუხად

რა განწყობაზე არიან ჩვენი ემიგრანტები?..

ვის სასარგებლოდ მიიტანენ არჩევანს ისინი

ოპოზიცია „დისკრიმინაციულ კარანტინზე“ ალაპარაკდა. „ევროპული საქართველოს“ წევრი გიორგი კანდელაკი აცხადებს, რომ ხელისუფლებას ეშინია უცხოეთიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების, რადგან ისინი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მისცემენ ხმას. საუბარია რამდენიმე ათეული ათას ადამიანზე და კანდელაკის მოსაზრებით, სწორედ ამით აიხსნება, რომ საქართველოს მთავრობა ავიაკომპანიებს არ აძლევს უფლებას, უსაფრთხოდ გამოცხადებული ქვეყნებიდან ფრენები განახორციელონ. ამიტომაც არ შეჰყავთ ნუსხაში პოლონეთი და საბერძნეთი.

კანდელაკის განცხადების საპასუხოდ გია ვოლსკი აცხადებს, რომ ეს ისეთივე ფანტაზიაა, როგორც სააკაშვილს ჰქონდა ღრუბელ-ღრუბელ ფრენით, მიწით, ზღვით თუ ხმელეთით საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ვოლსკის თქმით, უცხოეთიდან დაბრუნებული მოსახლეობის დიდი რაოდენობა, რომელსაც მიხედა საკუთარმა ქვეყანამ, ჩამოიყვანა, დააბინავა და აარიდა იმ უბედურებას, რასაც დაავადება ჰქვია, სწორედ რომ „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს მხარს. თუმცა დღეს უსაფრთხო ქვეყნები, სამწუხაროდ, არ არსებობენ.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** მიიჩნევს, რომ ქართველი ემიგრანტების გარემო არჩევნებზე მაინცდამაინც ამინდს ვერ ქმნის. აქ გადამწყვეტია, უშუალოდ საქართველოში მცხოვრები სოციუმი რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

„ჩვენს ემიგრანტებს შორის აქტიურობა საკმაოდ დაბალია, ზოგს ეზარება არჩევნებზე წასვლა, მათი ხმები დამატებით ფაქტორებზე უფრო მოქმედებს, ვიდრე ძირითად ფაქტორებზე. როგორც ვხედავ, ამ არჩევნებზე რეგიონების ხმები უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე მთავარი ინდუსტრიული ქალაქების“, — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ ჩვენთან საუბრისას.

მანვე განმარტა, რომ უკვირს, ავიარეისები რატომ არ დაინიშნა ცალკეულ ქვეყნებში, როცა პოლონეთთან თავისუფლად შეიძლებოდა რეისების დანიშვნა და მარტო გერმანიით, საფრანგეთით და ბალტიისა

ის სახელმწიფოებით არ უნდა შემოფარგლულიყვნენ. თუმცა ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ მთავრობას მართლაც კოვიდის ფაქტორი აფრთხობდეს, მით უმეტეს, ცოტა თავისუფლება ვიგრძენით და სვანეთში უკვე ახალი წყარო გაჩნდა.

საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი, სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი **გიორგი რუხაძე** for.ge-სთან საუბრისას გაკვირვებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რატომ ზღუდავს საერთაშორისო ფრენებს საქართველოს ხელისუფლება. ეს ყველაფერი დამაზიანებელია ჩვეულებრივი, რიგითი ქართველისთვის, რომელიც კარგავს შემოსავალს, კარგავს შესაძლებლობას, გაფრინდეს, მოინახულოს ოჯახის წევრები, მეგობრები. ამას ემატება 14-დღიანი კარანტინი საქართველოს მოქალაქეებისთვის და არა ზოგიერთი სხვა ქვეყნის მოქალაქისთვის, რაც დისკრიმინაციული და არაკონსტიტუციურია.

„რისთვის აკეთებს ამას ხელისუფლება, ეშინია, რომ კოვიდი აუფეთქდება, მეორე ტალღას მიიღებს და პოლიტიკურად უყურებს ამ ყველაფერს, როგორც ზარალს? თუ იმას ცდილობს, ვიღაცები არ ჩამოუშვას ქვეყანაში? ეს მე არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო დატოვა „ვიზეარმა“, „რაინეარმა“, ფრენები ფაქტობრივად არ არსებობს და მიუნხენში ბილეთი არის 5 ათასი ლარი, 8 ათასი ლარი, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება, გაუგებარი მიზეზით, ხელოვნურად ცდილობს, ქვეყანა ჩაკეტოს“, — მიიჩნევს გიორგი რუხაძე.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** გამორიცხავს, საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი ემიგრანტები განსხვავებულად აზროვნებდნენ და ოპოზიციას თანუგრძნობდნენ. მისი აზრით, რატომღაც ჩვენი ოპოზიციონრები ბელარუსთან პარალელებს ეძებენ, ამ დროს იქ სხვანაირადაა, უცხოეთში წასული ბელარუსები უფრო თავისუფლები არიან, მათი ნება არ კონტროლდება და თავიანთ განწყობას უპრობლემოდ გამოხატავენ. საქართველოში კი არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ, თუ ანტისახელისუფლებო ოპოზიციური განწყობა გაქვს, ვინმემ ეს დაგიშალოს. ამიტომ დიდი განსხვავება არ იქნება საზღვარგარეთ მიღებულ შედეგებსა და საქართველოში არსებულ შედეგებს შორის.

„შესაძლებელია, საზღვარგარეთიდან ვითარება ასე ჩანდეს, რომ დიდი ხანია, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და საზღვარგარეთ მყოფ ქართველებში უფრო მეტად იყოს ალტერნატივის გაჩენის მოთხოვნილება, მაგრამ განწყობებში კოლოსალური სხვაობა არ იქნება. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ქალიშვილია წასული საზღვარგარეთ და მისი განწყობა ვიცი, ის არ აძლევს ნაცებს ხმას“, — აღნიშნა **დავით ზარდიაშვილმა** ჩვენთან საუბრისას.

მანანა ნოზაძე

ბაღდათში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ბაღდათში საზოგადობრივი ცენტრი გახსნა. ცენტრი ქვეყნის მასშტაბით 82-ე, იმერეთში კი მეცხრამეტეა.

ცენტრისთვის ახალი, თანამედროვე სტანდარტების შენობა აშენდა, რომელიც შშმ პირებისთვის არის ადაპტირებული. აქ სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით ისარგებლებენ ბაღდათის და მიმდებარე სოფლების მცხოვრებლები.

ცენტრის როგორც საჯარო, ისე კერძო სერვისებით სარგებლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად იქ ჩასულ სტუმრებსაც შეეძლებათ. ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება, აგრეთვე, 24-საათიანი უკაბელო უფასო ინტერნეტი და სკაიპის ოთახი. ახალგახსნილ საზოგადოებრივ ცენტრში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკაა, სადაც ელექტრონულ წიგნებთან ერთად ბეჭდური გამოცემებიც არის დაცული.

ახალგაზრდები ღვინის საწარმოებში დასაქმდებიან

2020 წელს, რთვლის პერიოდში, ღვინის ეროვნული სააგენტო კახეთის რეგიონში მცხოვრებ სტუდენტებს ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე დასაქმებს. 120 სტუდენტი, კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სასწავლებლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად შეირჩა, — ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შერჩეულ კანდიდატებს, რთვლის აღრიცხვის პროგრამის ტრენინგები რთვლის საკოორდინაციო შტაბში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისმა სპეციალისტებმა ჩაუტარეს. რთვლის აღრიცხვის პროგრამა ქვეყანაში 2013 წლიდან მუშაობს. პროგრამა უზრუნველყოფს ჩაბარებული ყურძნის შესახებ სრული ინფორმაციის და ზუსტი მონაცემების შეგროვებას. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს ყურძნის ჩაბარების პროცესის გამჭვირვალობას, რაც მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებისთვის მნიშვნელოვანია.

◎ დაბრუნება

ჩისკო მუნიოსის მესამედ მოსვლა

როგორც მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში ალბანურ „ტირანასთან“ კრახის შემდეგ თბილისის „დინამო“ უმწვრთნელოდ დარჩა, კახა ჩხეტიანის შემცვლელად კი ჯერ ლევან კორღალიძის, მოგვიანებით – კახა ცხადაძისა და, ბოლოს, გიორგი ნემსაძის კანდიდატურები განიხილებოდა.

როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, კვანძი მოულოდნელად გაიხსნა და ამიერიდან ქართული ფეხბურთის ფლაგმანს 39 წლის ესპანელი სპეციალისტი **ჩისკო მუნიოსი** უთავკაცებს, რომელმაც ახლო წარსულში „თეთრ-ლურჯების“ შემადგენლობაში შესანიშნავი თამაშითა და როგორც ბომბარდირობით, ისე მოპოვებული ტიტულებით დაგვამახსოვრა თავი.

გულშემატკივარს არც ის პერიოდი ავიწყდება, როცა საქართველოში პროლიცენზიის არქონის მიუხედავად დაბრუნებული პირენეელი პროფესიონალი ოფიციალურად თანამემამულე ვისენტეს თანაშემწედ ითვლებოდა, თუმცა, ფაქტობრივად, გუნდში ყველაფერს თვითონ წყვეტდა.

„თბილისის „დინამო“ ჩემს გულშია და აქ დაბრუნებით ბედნიერი ვარ“, – ვკითხულობთ ქვეყნის საუკეთესო კლუბის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე ესპანელის სიტყვებს, რომელსაც უახლოეს პერიოდშივე მოუწევს სერიოზული გამოცდების ჩაბარება როგორც „კრისტალბეთ“ ეროვნულ ლიგაში, ისე ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

გიორგი ზოთაძე

◎ პანდემიის შემდეგ

კანადური წინაღობა

ნახევარწლიანი იძულებითი პაუზითა და ოჯახური სკანდალით ჩვეული კონდიციებიდან ამოვარდნილი მსოფლიოს 27-ე ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი წარუმატებლად დაუბრუნდა კორტს და პირველივე წრიდან გამოეთიშა ნიუ იორკში დაწყებულ ცინცინატის „მასტერსს“.

ჩვენი თანამემამულისთვის ამჯერადაც გადაულახავი წინაღობა აღმოჩნდა კანადელი ფელიქს ოჟე-ალიასიმი, რომელთანაც ბრძოლა 2 ეისითა და 8 ორმაგი შეცდომით დაასრულა, რამაც განაპირობა კიდეც მასთან უკვე ზედიზედ მესამე მარცხი – 4:6, 1:6.

შეგახსენებთ, რომ ნიკა იმავე მეტოქეს შარშან ორჯერ დანებდა – მაიამის ჰარდზე და ლიონის გრუნტზე.

დავძენთ, რომ ბასილაშვილს მამაკაცთა პროფესიული ტურის განახლებამდე წლევანდელ სეზონში ისედაც უარყოფითი ბალანსი ჰქონდა – 4 მოგება და 5 წაგება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ირინე გაბაშვილი – 60

„მომაკვდავი გედით“ მწვერვალზე აფრენილი

საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ნელი სალაძემ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მრავალ მხატვრულ ტანმოვარჯიშეს გაუკაფა გზა დიდი სარბიელისკენ. მათ შორის გამორჩეული იყო ირინე გაბაშვილი. ალღოიანმა პედაგოგმა უნიჭიერესი შეგირდი ერთ-ერთი კინოთეატრის ფოიეში იპოვა. მრავალწლიანი ერთობლივი გარჯის შედეგად ფუტკარივით მშრომელმა, მოკრძალებულმა და დამჯერე გოგონამ სახელოვანი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მსოფლიოს მხატვრული ტანვარჯიშის კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო.



1960 წლის 15 აგვისტოს დაბადებულმა სპორტსმენმა 1979 წელს ლენტითა და ბურთით ვარჯიშში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, იმავე წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე პირველი იყო ბურთით, ხოლო მრავალჭიდში მესამე ადგილი დაიკავა. იმ სეზონის წარმატებათა გვირგვინს წარმოადგენს მსოფლიოს ჩემპიონატზე ბურთით ვარჯიშში დამსახურებული „ოქრო“, ხოლო მრავალჭიდში მესამე ადგილზე გავიდა. წინა წელს იგი სსრკ თასის გათამაშების მესამე პრიზიორი გახდა.

ორწლიანი ტრავმებისა და წარუმატებლობების შემდეგ 1983 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის სარბიელზე ირინე გაბაშვილის შედეგიანი დაბრუნება ამ შეჯიბრების სენსაციად იქცა: მრავალჭიდში მან მე-5 ადგილი დაიკავა, ბურთით ვარჯიშში კი ასპარეზობის დედოფალი იყო, იმის მიუხედავად, რომ უზბეკ ვენერა ზარიპოვასთან ერთად მეორე-მესამე ადგილები („ოქრო“ კუტკაიტემ მოიპოვა) გაიყო.

„კარიერაში ბევრი ჯილდო მიმიღია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის „ოქროს“ მაინც არაფერი შეედრება, – მითხრა ერთხელ ირინე გაბაშვილმა. – **არა იმიტომ, რომ ლონდონში პირველი ადგილი დავიკავე: იქ შესრულებული „მომაკვდავი გედი“ ჩემი შემოქმედების უმაღლესი მწვერვალი იყო, რაშიც ქალბატონ ნელის უდიდესი წვლილი მიუძღვის. ლონდონის დარბაზში ყველაფერი გავიღე წარმატებისთვის. გამოსვლის ბოლოს მუსიკა რომ შეწყდა, გული შემეკუმშა. არ მეგონა, ფეხზე თუ წამოვდგებოდი. დარბაზმა იქუხა. არ მახსოვს, როგორ წამოვიმუხლე. ტაში არ ცხრებოდა. ხალიჩიდან რომ გავდიოდი, კარებში აცრემლებულ მწვრთნელს მოვკარი თვალი. თავი ვერ შევიკავე - მეც ავტირდი და ნელი მასწავლებელს გადავეხვიე. ეს ჩვენი გამარჯვება იყო“.**

დიდ სპორტთან განშორების შემდეგ გაბაშვილი მალაიზიაში გაემგზავრა სამუშაოდ. 1998 წელს ამ ქვეყნის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები თანამეგობრობის თასზე (Commonwealth Games) პირველ ადგილზე გაიყვანა. არადა, ოთხი წლის წინ მსგავს შეჯიბრებაზე გუნდი ბოლო ადგილზე იყო. ვაჟიშვილისთვის უკეთესი მომავალი რომ შეექმნა, ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. იცოდა, რომ ავად იყო, მაგრამ მუშაობას თავს არ ანებებდა, ბოლომდე იხარჯებოდა.

ირინე გაბაშვილი უკურნებელი სენით 2009 წელს გარდაიცვალა. არადა, წლეულს 60 წელი შეუსრულდებოდა.

ლექსო ცინცაძე

◎ მატება

სიახლით დაიწყო

მას შემდეგ, რაც საქართველოს რაგბის კავშირის დროებით თავკაცად მისი ვიცეპრეზიდენტი თორნიკე გოგებაშვილი დაინიშნა, 2020-2021 წლების სეზონის კონტურებიც გამოიკვეთა.

კერძოდ, საშეჯიბრო დებულებაში ერთწლიანი ცვლილების შეტანის შედეგად დიდ 10-ს პირველი ლიგიდან ქუთაისის „არესი“ და პატარძეულის „ვეფხვები“ დაემატა. ასე რომ, ამიერიდან ელიტაში 12 კლუბი ითამაშებს, რომლებიც ორ ექვსგუნდიან ჯგუფში გადანაწილდნენ და სამ ეტაპად გაითამაშებენ ეროვნული ჩემპიონატის მედლებს:

„ა“ ჯგუფი – „ლელო“, რუსთავის „ხარები“, „აკადემია“, კიკეთის „იუნკერები“, „ლოკომოტივი“, „ვეფხვები“.

„ბ“ ჯგუფი – „ბათუმი“, ქუთაისის „აია“, გორის „ჯიქი“, ბოლნისის „ყოჩები“, მარნეულის „არმაზი“, „არესი“.

კობა კობახიძე

◎ ბედისწერა

როცა ეშმაკს არ სძინავს

შარო, საიდან მოდიხარო, ზუსტად ისე დაემართა 24 წლის ოს ფალავანს ზაურბეკ სიდაკოვს, რომელიც ჩვენთვის ავთანდილ კენჭაძის უხერხული მეტოქეობითაცაა ცნობილი.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და მეორე ევროპული თამაშების გამარჯვებულმა ტოკიოს ოლიმპიადის გადავადებით გამოცხადებული იძულებითი შესვენებით ისარგებლა, დაოჯახება გადაწყვიტა და ვლადიკავკაზში სტუმრები ქორწილში მიიწვია.

თითქოს ტიტულოვანი მოჭიდავე პირადი ბედნიერებით უნდა დამტკბარიყო, მაგრამ, თურმე, ეშმაკს არ ეძინა.

მონასტერი მას შემდეგ აირია, რაც სიძესა და მოქეიფეთა ნაწილს ტელეფონზე პატარძლის მეძავური წარსულის ამსახველი ვიდეორგოლები გადაუგზავნეს.

თუ ვინ ჩაუშვა საკმაოდ მდიდარი ულამაზესი დედოფალი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ვრცელდება ორი ვერსია – ან ყოფილი შეყვარებული, ან მისი მოქმედი ბოიფრენდის ცოლი.

რაც შეეხება გამწარებულ ნეფეს, გულისსწორთან მუშტებით გასწორების შემდეგ იგი სანათესავომ შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ გაარიდა ალანიის მიწას.

ბეჭან დოლიძე

9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ, ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲚᲣᲙᲐᲨᲔᲜᲙᲝ ᲮᲛᲔᲑᲘᲡ 80%-ᲘᲗ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲐᲓ �გᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲛᲔᲗᲝᲕᲥᲔᲛ, ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲢᲘᲮᲐᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲛ ᲮᲛᲔᲑᲘᲡ 10% ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲡᲪᲜᲝ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲢᲘᲮᲐᲜᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲔᲑᲡ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ ᲐᲠ �გᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲚᲘᲔᲢᲣᲕᲐᲨᲘ �გᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ. ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲩᲐᲬᲔᲠᲐ. ᲣᲙᲕᲔ ᲚᲘᲔᲢᲣᲕᲐᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲝᲛᲝᲜᲛᲐ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲐᲠᲑᲘᲔᲡ, თითქმის ყველა გამოსული — 3 ათასზე მეტი პროტესტანტი დაიჭირეს. მას შემდეგ ბელარუსში აქციები არ წყდება. ტიხანოვსკაია საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, უცხოეთში გაემგზავრა და იქიდან ცდილობს ეროვნული ლიდერის როლი მოირგოს. ოპოზიცია ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. დათმობას არ აპირებს არც ალექსანდრე ლუკაშენკო და აცხადებს, რომ ხელახალი არჩევნები არ ჩატარდება.

ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲨᲘ �გᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲒᲔᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ, �პᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲐᲕᲐ.

ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ!

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ, როგორ შეაფასებთ ბელარუსში მიმდინარე მოვლენებს? რამდენად დამაჯერებელია ლუკაშენკოს მიერ არჩევნებში მიღებული 80%?

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲐᲕᲐ –ალექსანდრე ლუკაშენკო ბელარუსს 1994 წლიდან მართავს, მან უკვე მე-6 არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. 26 წელი ბელარუსის უცვლელი ლიდერია. საბჭოთა დროს, საკაშვილის მსგავსად, კგბ-ს სასაზღვრო ჯარებში მსახურობდა. შემდეგ ორ კოლმეურნეობას და ერთ „სოვხოზს“ ხელმძღვანელობდა. უზენაესი საბჭოს დეპუტატიც გახდა და ერთადერთი დეპუტატი იყო, რომელმაც ბელოვეჟის შეთანხმების რატიფიკაციას ხმა არ მისცა, ანუ სსრკ-ს დანგრევის წინააღმდეგ წავიდა და საბჭოთა კავშირის დაშლას „მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა. იგივე ფრაზა პუტინმა 2007 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გაიმეორა, რითაც ახალი „მინი ცივი ომი“ დაიწყო რუსეთსა და დასავლეთს შორის.

ამ „ცივი ომის“ მსხვერპლნი ჩვენც გავხდით 2008 წელს ჩვენივე უგუნური და მოღალატეობრივი პოლიტიკის გამო. ეს „მინი ცივი ომი“ 2020 წლის თებერვლამდე გაგრძელდა, ვიდრე რუსეთი აზარტით არ ჩაერთო გლობალისტების მედიაპროექტში „კორონავირუსი“.

1994 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ლუკაშენკომ 80% მიიღო, შესაძლოა ეს ციფრი ამიტომაც უყვარს. მე ვაკვირდებოდი ბელარუსის საპრეზიდენტო კამპანიას და უნდა ვთქვა, რომ ლუკაშენკომ დაუშვა სერიოზული ტექნოლოგიური შეცდომები. მაგალითად, მან იგნორირება გაუკეთა ინტერნეტ სივრცეს, ახალგაზრდობას, არც კი უხსენებია რეფორმები, განახლება, ახალი ეროვნული მეგა–პროექტები, არ მოუყვანია გუნდში ახალი პოპულარული სახეები.

— თქვენ ახსენეთ, რომ ლუკაშენკო წარსული მიღწევებით აპირებდა ფონს გასვლას. რა მიღწევებზე საუბრობთ?

— ბელარუსი უნიკალური ექსპერიმენტია. ბელარუსის სიმდიდრე სულ სამი რესურსით შემოიფარგლება — მიწა, ტყე და კალიუმი. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს საკუთრებაში მრეწველობის ძირითადი სიმძლავრეების შენარჩუნება მოხერხდა და ის ევროპულ დონეზე განვითარდა. ბელარუსის დღევანდელი ეკონომიკა უფრო დიდია, ვიდრე ის 1989 წელს საბჭოთა ბელორუსიაში იყო. კოლმეურნეობები მომგებიანი გახადეს და მხოლოდ საკვები პროდუქტების ექსპორტი ყოველწლიურად თითქმის $6 მილიარდია. ბელარუსის რძის და ხორცპროდუქტები უმაღლესი ხარისხისაა.

ჩვენ უკვე კარგად გვესმის, რომ დასავლეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში აქტიურად ლობირებდა და ლობირებს დეინდუსტრიალიზაციას, რადგან არ სჭირდებათ კონკურენტები. დღევანდელ მსოფლიოში თითქმის ყველაფრის ჭარბწარმოებაა და კონკურენტებს დაუნდობლად იშორებენ. აქსიომაა, რომ ყველა განვითარებული სახელმწიფოს ეკონომიკის ხერხემალი მრეწველობაა, მის გარეშე ქვეყანა ვერ განვითარდება და ვერ გამდიდრდება. ლუკაშენკომ ყური უგდო დასავლეთს და შეზღუდული რესურსებით მრეწველობა არნახულ დონეზე განავითარა.

ჩვენ კი 90-იანი წლებიდან $200 მილიარდის კაპიტალიზაციის მრეწველობა ჯართში ჩავაბარეთ და უცხოელების შიშით ახალი საწარმოების დაფინანსება გვეშინია. ვნახოთ ბელარუსის ეკონომიკა ციფრებში. ციფრების და სტატისტიკის გარდა ყველაფერი ლირიკაა. ბელარუსი საქართველოზე 2,5-ჯერ დიდია. მოსახლეობა 9,5 მილიონია. მათ მოახერხეს და 1989 წლის მოსახლეობის დონე მეტ-ნაკლებად შეინარჩუნეს. ხალხი კი ეკონომიკაში ყველაზე მძლავრი რესურსია, რადგან სწორედ ხალხი ქმნის პროდუქტს და აყალიბებს მოხმარება/მოთხოვნას ბაზარზე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 75 წელია. ბელარუსის ეკონომიკა $63 მილიარდია, თუმცა, უკრაინის კრიზისამდე $78 მილიარდი იყო.

ექსპორტმა 2019 წელს $42 მილიარდი შეადგინა. საქართველოს ექსპორტმა კი — $3,8 მილიარდი, ანუ 11-ჯერ ნაკლები, მაშინ, როდესაც მოსახლეობით ბელარუსი საქართველოზე მხოლოდ 2,5-ჯერ დიდია, ხოლო ტერიტორიით — 3-ჯერ. ბელარუსის ეკონომიკური განვითარების დონე რომ გვქონდეს, ჩვენი ექსპორტი $16 მილიარდი უნდა იყოს. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი ბელარუსის ეკონომიკას 30-ე ადგილზე აყენებს სირთულის, ანუ მეცნიერების და ტექნოლოგიების გამოყენების ინდექსით, და ამ მონაცემით ის რუსეთს, უკრაინას და ლატვიას უსწრებს. ქვეყანაში 12,000 ქარხანა მუშაობს, 10-მილიონიან ქვეყანაში უმუშევარი მხოლოდ 7000 ადამიანია, ჩვენთან კი — 1 მილიონი.

საშუალო ხელფასი ბელარუსში $588-ს შეადგენს, საქართველოში კი — $392 (1204 ლარი)-ს. საშუალო პენსია $185-ია, ჩვენთან — $82. ბელარუსში კანონით პენსიის ინდექსირება ყოველ წელს ხდება, რათა ინფლაციამ პენსიონერები არ დააზარალოს. ჯანდაცვა, საშუალო განათლება სრულად უფასოა და ამავე დროს ხარისხიანი. სტუდენტების 35% უფასოდ სწავლობს. დააფუძნეს მაღალი ტექნოლოგიების პარკი, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების $2 მილიარდიან ექსპორტს აწარმოებს.

ყველაზე ცნობილი ბელარუსული IT პროდუქტები Viber, World of Tanks, Maps Me. Masquarade კი ცუკერბერგმა იყიდა. ბელარუსმა 2 კოსმოსური თანამგზავრი გაუშვა, აშენებს 49 მილიარდ დოლარად ღირებულ ატომურ ელექტროსადგურს, რომელიც ორი „ენგურჰესის“ სიმძლავრისაა, გზები და ინფრასტრუქტურა ევროპული ხარისხისაა. ეს ყველაფერი ლუკაშენკომ საკმაოდ მოქნილად რუსეთთან ურთიერთობის ხარჯზე და დიდწილად რუსეთის ბაზრის წყალობით მოახერხა.

მან 26 წლის განმავლობაში რუსეთისგან ბუნებრივი აირის იაფად მიღება შეძლო, რითაც მრეწველობა ააგუგუნა. ასევე რუსეთისგან ნედლი ნავთობი მიიღო, რომლის საფუძველზეც მოზირში თანამედროვე ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა ააშენა და ყოველწლიურად $3 მილიარდის ბენზინის ექსპორტს ახდენს. სხვათა შორის, მსგავსი მოლაპარაკება იყო ჰეიდარ ალიევსა და შევარდნაძეს შორის, რომ კასპიის ნავთობის ნაწილი სუფსაში იაპონელების მიერ აშენებულ ქარხნაში გადამუშავებულიყო ბენზინად, მაგრამ საკაშვილმა ეს შეთანხმება ნავთობის ბიზნესიდან პირად წილებში და ქვემო ქართლის ხმებში გადაცვალა. თანამედროვე ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა კი აზერბაიჯანელებმა ბაქოსა და თურქეთში ააშენეს.

ბელარუსს დავუბრუნდეთ, ცხადია, ყველაფერი იქ იდელაური არ არის. 2014 წლის უკრაინის კრიზისმა ბელარუსს დიდი დარტყმა მიაყენა. პოსტსაბჭოთა სივრცეში საერთო ეკონომიკური ვარდნა მოხდა. რუსეთში მსყიდველობითუნარიანობის დაცემამ ბელარუსის ეკონომიკა $79 მილიარდიდან $60 მილიარდზე ჩამოიყვანა. ამან შეამცირა ბელარუსი ხალხის შემოსავლები და, ფაქტობრივად, მე-6 წელია დაკარგულის ანაზღაურებას ცდილობენ. ნებისმიერი ეკონომიკური კრიზისი რუსეთში „ურტყამს“ ყველა მის მეზობელს, მათ შორის ჩვენც.

2014 წლის კრიზისმა ჩვენს ეკონომიკასაც $3 მილიარდი მოაკლო და დღემდე ვერ მივაღწიეთ 2014 წლის დონეს. ბელარუსი არ აყვა კორონავირუსის მედია–პროექტს და არ ჩაკეტა ეკონომიკა, მაგრამ მის გარშემო ქვეყნებმა ეკონომიკის ბლოკირების რეჟიმი აამოქმედეს და ეს ბელარუსის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახება. ყველაფერმა ამან ერთად აღებულმა ნოყიერი ნიადაგი შექმნა ლუკაშენკოს მოწინააღმდეგეთათვის. პანდემიის მთავარი დარტყმა ქვეყნების ეკონომიკაზე ჯერ კიდევ წინ არის. ჩვენ კი ლუკაშენკოს აუცილებლად უნდა დავუფასოთ ის, რომ მან არ იღო ყურად მოსკოვის მოწოდება და აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არ აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

— ჩვენ ვიხილეთ მასშტაბური პროტესტები ბელარუსში. ბევრი ხალხი გამოვიდა. როგორ ფიქრობთ, ვინ უმაგრებს ზურგს ბელარუსულ ოპოზიციას? უნდა ველოდოთ თუ არა ხელისუფლების ცვლას და მორიგ „ფერად რევოლუციას“? ლუკაშენკო აცხადებს, რომ პროცესები „ფერადი რევოლუციისკენ“ მიდის...

— ბელარუსის საარჩევნო მარათონში ჩაერია დასავლეთიც და რუსეთიც.

რუსეთს თავისი კანდიდატი ბაბარიკო (გაზპრომბანკის მენეჯერი მინსკში) ჰყავდა; დასავლეთმა კი სვეტლანა ტიხანოვსკაიას დაუჭირა მხარი. საპროტესტო შტაბი ვარშავაშია, ტიხანოვსკაია ლიეტუვამ შეიფარა. დასავლეთს სურს ლუკაშენკოს ჩამოშორება, მოსკოვს კი მისი დასუსტება და გარკვეული პერიოდის შემდეგ თავისი კაცით ჩანაცვლება აქვს მიზნად დასახული.

ჩვენ ვიცით, რომ ბელარუსი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრია, რუსეთთან საბაჟო კავშირის წევრიც, ასევე არის კოლექტიური უსაფრთხოების სამხედრო ხელშეკრულების წევრი. მიუხედავად ამისა, ლუკაშენკო არც რუსეთს და არც დასავლეთს ცხვირს არ აყოფინებდა თავის შიდა საქმეებში. მოქნილი პოლიტიკით კი დასავლეთიდანაც ღებულობდა ეკონომიკურ სარგებელს და რუსეთიდანაც. 2020 წლის 1 ივლისიდან ევროპამ ბელარუსს უვიზო მიმოსვლა დაუწესა. რუსეთს პარტნიორობის სურვილი არ აქვს, მას თავისი კაცი სჭირდება მინსკის პირველ სავარძელში. თუ ლუკაშენკო რუსების დაუხმარებლად შეძლებს ვითარების განმუხტვას, დიდად არაფერი შეიცვლება, შესაძლოა რაღაც ინდივიდუალური სანქციები დაწესდეს ბელარუსი ჩინოვნიკების მიმართ.

— იმ შემთხვევაში, თუ ლუკაშენკო დამოუკიდებლად სიტუაციას ვერ მოერია და რუსებს დახმარება სთხოვა, სანაცვლოდ რისი დათმობა მოუწევს ლუკაშენკოს პუტინის სასარგებლოდ?

— ასეთ შემთხვევაში მას რუსეთთან ახალ პირობებზე მოლაპარაკება მოუწევს. რუსეთი მას აუცილებლად მოსთხოვს მოსკოვისთვის მისაღები მემკვიდრის ინტრონიზაციას, თანაც ახლო მომავალში. თავად კი ევრაზიული კავშირის საზღვრებში უსაფრთხოების გარანტიებს მიიღებს. გამოდის, რომ დასავლეთის ის წრეები, რომლებიც პროტესტანტებს ეხმარებიან, ნებსით თუ უნებლიედ, რუსების წისქვილზე უშვებენ წყალს. ლუკაშენკოს და ბელარუსს რუსეთის სრული კონტროლის ქვეშ „ერეკებიან“. უკრაინის მწარე მაგალითი პუტინს არ უტოვებს სხვა შანსს, გარდა ბელარუსში სიტუაციის უკიდურესად დაძაბვის ჟამს, არმიის ნაწილების შეყვანისა. სხვა შემთხვევაში ის მიიღებს მტრულ სახელმწიფოს წითელი მოედნიდან 450 კმ-ში, რაც თანამედროვე ტანკებისთვის 6-საათიანი აუჩქარებელი მარშის მანძილს შეადგენს და ტაქტიკური ბირთვული იარაღის მოქმედების რადიუსშია. ხოლო ბელარუსიდან აფრენილი ამერიკული გამანადგურებელი F16 Falcon მოსკოვს 11 წუთში მიაღწევს. რუსეთის ტაქტიკური აზროვნების მსგავსი მოდელი არ შეიძლება არ ესმოდეთ დასავლეთში და სწორედ ეს აჩენს გარკვეულ კითხვებს.

— თქვენი აზრით, მოახერხებს ლუკაშენკო ხელისუფლების შენარჩუნებას?

— არჩევნების შემდეგ პირველ დღეს პროტესტი არ იყო მასობრივი, დაახლოებით 3-4 ათასი ადამიანი გამოვიდა მინსკში. ორმილიონიანი ქალაქისთვის ეს დიდი ციფრი არ არის. ხელისუფლებამ დაინახა რა პროტესტის მცირე რიცხოვნობა, გადაწყვიტა დაესაჯა პროტესტანტები და თითქმის ყველა დააკავეს და მათ ფიზიკურად გაუსწორდენენ. დაახლოებით ისე, როცა სააკაშვილმა მიტინგი კი არ დაშალა, არამედ ყველა გასასვლელი გადაკეტა და „ჭკუის სასწავლებლად“ ყველა მომიტინგე სცემა. სწორედ ეს იყო ლუკაშენკოს შეცდომა და ამის გამო გამოვიდა ხალხი მეორე და მესამე დღეს მინსკის „გამარჯვების სტელასთან“.

მომიტინგეები ცდილობდნენ დაეცვათ ერთმეტრიანი დისტანცია, ანუ ფაქტიურად 100,000 გაბრაზებული ადამიანი გამოვიდა მინსკში. ლუკაშენკოს ჰყავს სერიოზული უსაფრთხოების სამსახური, განწრთნილი 65,000 ჯარისკაცი, მილიცია, ომონი და ხელისუფლების ვერტიკალი, რომელიც ჯერჯერობით გვერდში უდგას. გაფიცვების კამპანია მხოლოდ რამდენიმე საწარმომ დაიწყო, დანარჩენი მუშაობს. დღეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ლუკაშენკოს ჩამოგდების რესურსი არ ჩანს. ოპოზიციას სერიოზული ლიდერი არ ჰყავს, საზღვრებს სახელმწიფო აკონტროლებს და ფინანსების მიწოდება ჭირს. ოპოზიციის ცნობით, ფსბ-ს ოპერატიული მუშაკები უკვე ჩავიდნენ მინსკში, ბელარუსის ტელევიზიაში რუსული ჟურნალისტური გუნდი შევიდა, საზღვრებთან რუსული ჯარის გადაჯგუფება ხდება. ახლა მუხტის აგორების პროცესი და ხალხის ინფორმაციული დამუშავება მიმდინარეობს. იყენებენ მუქარების ტენქოლოგიას, ანუ ჩინოვნიკებს და მათ ოჯახებს ინდივიდუალურად აშინებენ, თუმცა, მსგავსი რამ ხელისუფლების მხრიდანაც ხდება. ჩინოვნიკების დაშინების ტექნოლოგია ბოლო მაიდანის დროს უკრაინაშიც გამოიყენეს...

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

მოდი ჯო, ნარკოტესტები ჩავიტაროთ!

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გამოდის ინიციატივით, რომ მომავალ თვეში დაგეგმილი პრეზიდენტობის კანდიდატების დებატების წინ, მან და ჯო ბაიდენმა ნარკოტესტი ჩაიტაროონ.

როგორც პრეზიდენტმა გამოცემა **„Washington Examiner“**-თან ინტერვიუში განაცხადა, მან ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენს დემოკრატიული პარტიის ტელედებატების დროს, მოულოდნელი გაუმჯობესება შეამჩნია.

3 ნომბერს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებამდე დონალდ ტრამპსა და ჯო ბაიდენს შორის სამი დებატია დაგეგმილი. დემოკრატიული პარტიის კანდიდატების ბოლო დებატები 15 მარტს გაიმართა და ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ჯო ბაიდენსა და ვერმონტის სენატორს ბერნი სანდერსს შორის შედგა.

„მე არ ვიცი, როგორ შეეძლო მას ყოფილიყო ასეთი არაკომპეტენტური დებატების დროს და შემდეგ, მოულოდნელად კარგად წარმდგარიყო ბერნის წინააღმდეგ“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა. ამასთან, დონალდ ტრამპმა დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის დებატები გლადიატორთა ბრძოლას შეადარა.

ეროვნული გვარდია – წესრიგის აღსადგენად

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ უისკონსინის შტატის ქალაქ კენოშაში წესრიგის აღსადგენად ეროვნულ გვარდიას გააგზავნის.

„ფედერალურ სამართალდამცველებსა და ეროვნულ გვარდიას ქალაქ კენოშაში გავაგზავნი, რათა წესრიგი აღვადგინოთ. არ მოვითმენთ ძარცვას, ძალადობასა და უკანონობას ამერიკულ ქუჩებში“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

საპროტესტო გამოსვლები უისკონსინის შტატის ქალაქ კენოშაში მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთ-ერთ უბანში გამოძახებაზე მისულმა პოლიციელმა ფერადკანიანი მამაკაცი დაჭრა. საპროტესტო აქცია არეულობაში გადაიზარდა, რა დროსაც დემონსტრანტების ნაწილმა ქალაქის სასამართლოს შენობაში შეჭრა სცადა.

ამერიკელები და რუსები ერთმანეთს სირიაში დაუპირისპირდნენ

ამერიკელი სამხედროები სირიაში რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან შეტაკების შედეგად დაშავდნენ. ამის შესახებ სააგენტო „როიტერი“ ამერიკელ მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით იუწყება, რომელთაც ანონიმურად დარჩენა ისურვეს. როგორც სანდო წყარო აცხადებს, ინციდენტი, რომელიც ცოტა ხნის წინ მოხდა, ცეცხლის გახნასთან არ არის დაკავშირებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პენტაგონი და აშშ-ის ცენტრალური სარდლობა კომენტარს არ აკეთებს.

სატენდერო მოწვევა

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRP III)

კონტრაქტის დასახელება: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში საავტომობილო გზებზე არსებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი სამუშაოები

სატენდერო მოწვევა: SLRP III/CW/NCB-38

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე (SLRP III) პროექტისთვის.** აღნიშნული პროექტის დანაზოგიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: **,,რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში საავტომობილო გზებზე არსებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი სამუშაოები“**

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვემდებარეობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, სამუშაოების განსახორციელებლად წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი სამუშაოების განხორციელების პერიოდია **3 თვე.**

3. სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა **4,328,555 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შეთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ **1,440,000 ლარის** ოდენობით, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით (დამკვეთი იტოვებს უფლებას დააზუსტოს თუ საკრედიტო ხაზის შესახებ წარმოდგენილი წერილი იქნება ბანკის მხრიდან რაიმე პირობის გათვალისწინებით);

ბ. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2017; 2018 და 2019) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ **4,328,555 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისგან, გაყოფილი 3 წელზე;

გ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის ზოგადი სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს ბოლო **3 წელს 2017 წლის 1 იანვრიდან;**

დ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** ერთ (1) საფარიანი გზის მშენებლობის/ რეკონსტრუქციის/ რეაბილიტაციის/ საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების/ პერიოდული შეკეთების კონტრაქტს ღირებულებით არანაკლებ **3,460,000 ლარი** ან ორ (2) საფარიანი გზის მშენებლობის ან რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის ან გზის უსაფრთხოების გაუმჯობესების ან პერიოდული შეკეთების კონტრაქტს თითოეულის ღირებულებით არანაკლებ **1,730,000** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების **80%** ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების ანალოგიურია;

ე. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:

● **2017 წლის 1 იანვრიდან განცხადების მიღების თარიღამდე 27 კმ ზღუდარის მოწყობის სამუშაოები.**

სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

5. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა მითითებულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება აღნიშნულ შესყიდვაზე.

6. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

7. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა და ტენდერის გახსნა მოხდება ელექტრონულად საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით, რომელშიც გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი. საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემაში შეტანილი ძირითადი ცვლილებებია:

ა) ელექტრონული სარეზერვო აუქციონის 3 რაუნდი აღარ გამოიყენება. რაუნდები აღნიშნული შესყიდვისთვის არ გამოიყენება.

ბ) კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება ცხადდება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, რაც ტენდერის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას თავად წარმოადგინონ სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ შემოთავაზებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრაზე.

გ) გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)". გთხოვთ, ინფორმაციის დასაზუსტებლად შეკითხვები ატვირთოთ ელექტრონული შესყიდვების სისტემაში. ყველა შეკითხვის პასუხი ასევე აიტვირთება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში.

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან **28** დღის განმავლობაში. ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

INVITATION FOR BIDS
GEORGIA
Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)
Contract Title: Existing Roads Safety Improvement Works in Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti Regions
Bid invitation No. SLRPIII/CW/NCB-38

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII) and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract: **Existing Roads Safety Improvement Works in Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti Regions.**

2. The Project Implementing Agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids for execution of these works. Implementation period for execution of works is **3 months.**

3. The estimated cost of proposed works is **GEL 4,328,555** including all taxes, duties and other levies. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a) The Bidder shall demonstrate that it has access to, or has availability to liquid assets, unencumbered real assets, lines of credit (the letter from the bank must demonstrate bank's commitment to provide financing in case if the Bidder will be successful in subject tender. Letters from a bank only demonstrating bank's intention to finance bidder without any commitment may not be accepted by the Employer during evaluation and may be subject to clarification), and other financial means (independent of any contractual advance payment) sufficient to meet the construction cash flow requirements estimated as **GEL 1,440,000.00** for the subject contract(s) net of the Bidders other commitments;

b) Minimum average annual turnover of **GEL 4,328,555.00 calculated** as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2017; 2018 and 2019), divided by 3 years;**

